პროლეტარებო ყველა ძვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 270 (18812) ხუთშაბათი, 24 ნოემბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ᲥᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲗᲘᲑᲐᲠᲘ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲨᲘ

„ᲗᲘᲗᲔᲚᲘ შეგნებით ვამბობ: კაცობრიობის ხსნაა შრომის გამარჯვება“. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის ნარიმან ნარიმანოვის ეს სიტყვები საქართველოს მარნეულის რაიონულ ცენტრში 20 ნოემბერს გამართული სახალხო ზეიმის თვალსაჩინო ეპიგრაფი გახდა.

დილადანვე მოიღრუბლა, მაგრამ შემოდგომის მზე დროდადრო გამოანათებდა და უღიმოდა დღესასწაულს. იგი დაიწყო შულავრის მატყლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკაში. ეს ადგილი ზეიმის დაწყების სტარტად შემოხვევით როდი აირჩიეს: ზეიმის წინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით რესპუბლიკის მსუბუქი ინდუსტრიის ამ დიდ საწარმოს ნარიმან ნარიმანოვის სახელი მიენიჭა.

ფაბრიკის ინტერნაციონალური კოლექტივში ათასზე მეტი კაცი მუშაობს. იგი რესპუბლიკაში ცნობილია შრომითი მიღწევებით — წელიწადში თითქმის მეოთხედი მილიარდი მანეთის მთლიან პროდუქციის უშვებს და კალენდრის გასწრებით შრომობს. აღსანიშნავია, რომ საწარმო ნიდლეულს მოძმე აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან იღებს.

საწარმოსათვის ნარიმან ნარიმანოვის სახელის მინიჭებისადმი მიძღვნილი მიტინგი, რომელიც ფაბრიკაში დაიწყო, ინტერნაციონალური ძმობის ნამდვილი დღესასწაული გახდა. მიტინგის მონაწილეები ქართულ და რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ლაპარაკობდნენ შრომაში მიღწეულ წარმატებებსა და წარმოების განვითარების პერსპექტივებზე.

ზეიმს განსაკუთრებული ელფერი შესძინა მოძმე აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგაციების მონაწილეობამ.

ნარიმან ნარიმანოვის სახელი განსაკუთრებით ძვირფასია ჩვენთვის, ამბობდნენ მიტინგზე გამოსულები — პარტიის მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ლომაძე, ფაბრიკის ზეინკალი ნ. მიშინი, საწარმოს მუშა ნ. ასანიძე, მთავარი ენერგეტიკოსი შ. გულიევი და სხვები. ძვირფასია იმიტომ, რომ მისი ბიოგრაფია მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოს მიწა-წყალთან. ქართველ ხალხთან. იგი დაიბადა თბილისში, ღარიბ ოჯახში, განათლება მიიღო ერევნის სემინარიაში, რომელიც სოფლის დაწყებითი სკოლებისათვის მასწავლებლებს ამზადებდა. ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ნარიმან ნარიმანოვი წერა-კითხვის ასწავლიდა გლეხების ბავშვებს ბორჩალოს მაზრაში (ამჟამად მარნეულის რაიონი)—დღეისათვის საქართველოს ეკონომიკურად და სოციალურ-კულტურულად ერთ-ერთი განვითარებული რეგიონში.

მიტინგზე გამოსული ბაქოს ნ. ნარიმანოვის მემორიალური მუზეუმის დირექტორი ლ. გაჯიევი, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი მ. დადაშევი, რომლის საუკეთესო ნამუშევრები თეატრსა და კინოში დაკავშირებულია გამოჩენილი რევოლუციონერის სახელთან, სხვა სტუმრები უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ნარიმან ნარიმანოვის არ ივიწყებენ საქართველოს მიწა-წყალზე.

ზეიმმა გადაინაცვლა მარნეულის ცენტრში, რომელიც არნახულად შეიცვალა უკანასკნელ წლებში. მან ახლახან რესპუბლიკური დაჯილდოებრების ქალაქის სტატუსი მიიღო. ნარიმან ნარიმანოვის მემორიალთან, რომელიც ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრალზეა დადგმული, დიდძალი ხალხი შეიკრიბა.

იწყება მიტინგი. ტრიბუნაზე ადიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. გაბუნია, გ. ნ. ენგიბაძე, გ. ვ. კოლბინი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. შ. ენდელაძე, ქალაქ მარნეულისა და მისი რაიონის ხელმძღვანელები, დღესასწაულის სტუმრები.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ე. ა. შევარდნაძემ.

მიტინგზე გამოსულმა დღესასწაულის მასპინძლებმა და მთმა სტუმრებმა ილაპარაკეს მარნეულის რაიონის არნახული სოციალურ-ეკონომიკური აყვავების შესახებ, რაიონისა, რომელიც მტკიცედ ინარჩუნებს მოწინავე პოზიციებს რესპუბლიკაში. ღრმად სიმბოლურია ამ გაჩაღებული ახალი სამრეწველო საწარმოების შენებლობა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვების გადიდება. სოციალური გარდაქმნები. ოდესღაც მიყრუებული მხარე ახლა რესპუბლიკას შრომითი მიღწევებით ასახელებს. განსაკუთრებით აღინიშნა რაიონის ინტერნაციონალისტური ტრადიციების მნიშვნელობა, რომელებმაც უდიდესი როლი შეასრულეს სოციალისტური პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, საბჭოეთში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდის საქმეში.

ღია ცის ქვეშ გამართულმა საზეიმო კონცერტმა ქართული და აზერბაიჯანული, რუსული და სომხური მელოდიები მეგობრობისა და ძმობის დიდებულ გვირგვინად დაწნა.

...თუმცა წვიმდა, მაგრამ მაინც, შესანიშნავი სანახავი იყო იმ დღეს აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის საზღვრების მიჯნა — ცნობილი წითელი ხიდი. ამ ხიდით ლეგენდარული მე-11 არმიის ნაწილები მოვიდნენ ამიერკავკასიის რევოლუციური მეშრომელების დასახმარებლად, რომლებიც ამ მხარეში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის იბრძოდნენ.

გორაკიდან, სადაც მეგობრობის ტოტებგაშლილი ხის გამომახატველი მონუმენტია დადგმული, ჩრდილდნენი ხელში ხიდისაკენ ეშვება საქორწილოდ გამოწყობილი ახალშეუღლებული სამი წყვილი. ესენი არიან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მეზეთე კურსის სტუდენტები პაატა სოფრომაძე და მაია კობალეიშვილი, ბაქოელები — ინჟინერ-მექანიკოსი, აზერბაიჯანის კომკავშირის პრემიის ლაურეატი შაქრი ელჩიევი და პედაგოგი აგიგატ ფარზალიევა, ერევნელები — მოქანდაკე გრიგოლ ბაქრიანი და ერევნის ვ. ბრიუსოვის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის სტუდენტი რუზანა აგამანი.

გორაკის ძირას ახალდაქორწინებულთა მიერ მოტანილი ჩირაღდნები იატაკეს ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა მხედრებმა და ჭინები გასწიეს მაღალი მთისაკენ, სადაც მეგობრობის კოცონი დაანთეს.

მეგობრობით გაცისკროვნებულ ხიდს ალისფერი დროშა დანათეს... საჰაერო ბურთებს ნელნელა ააქვთ ცაში სსრ კავშირის სახელმწიფო დროშა, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის სახელმწიფო დროშები.

— დღესასწაულმა კიდევ ერთხელ ცხადყო საბჭოეთის ახალგაზრდობის მიზნებისა და მისწრაფებების ერთიანობა, ჩვენი მოძმე რესპუბლიკების ქალაშვილებისა და ჭაბუკების მეგობრობა,—თქვა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ლორთქიფანიძემ.

— მეგობრობისა და ძმობის ასეთ ზეიმს პირველად ვესწრები, რომელიც უკვე ტრადიციად იქცა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ახალგაზრდობისათვის,—თქვა სომხეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თოფუზიანმა. — ძალზე მოხარული ვარ, რომ ამ დღესასწაულში ვმონაწილეობ.

— ჩემი აზრით, ამ ზეიმს უდიდესი იდეოლოგიური, ინტერნაციონალისტური პოტენციალი აქვს, — აღნიშნა აზერბაიჯანის ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. მუსლიმ-ზადე. ლენინური კომკავშირის 65 წლისთავისადმი მიძღვნილ. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ახალგაზრდობის მეგობრობის დღესასწაულს დაესწრნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. შ. ენგიბაძე, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ნ. შ. ენდელაძე, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ა. ბ. ბალანი.

„შრომა საბჭოეთში ყოველი დღესასწაულის წინამორბედი და საფუძველია. მარნეულის მიწა-წყალზე დღესასწაულის დამთავრების მეორე დღესვე სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებები გააფორმეს ქალაქებმა ზუგდიდმა და მარნეულმა, ზუგდიდისა და მარნეულის რაიონებმა.

— პარტიის მარნეულის საქალაქო კომიტეტი ახლახან შეიქმნა, თქვა საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ლომაძემ. — ჩვენს რეგიონებს კი ერთმანეთთან დიდი ხნის თანამშრომლობა აკავშირებს. ზუგდიდელებისაგან ბევრ რამეს ვსწავლობთ და შეჯიბრება, უეჭველია, დაგვეხმარება მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესებაში.

— ჩვენ კი არაფერს დავუმალავთ მეგობრებს, — თქვა პარტიის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა კ. ჯანჯღავამ. — თანაც ჩვენც ბევრ რამეს გადავიღებთ განვითარებული მრეწველობის მქონე მარნეულისაგან. დარწმუნებული ვარ, ჩვენი თანამშრომლობა ურთიერთსასარგებლო იქნება.

სასიხარულო, შემოდგომის მდიდარი ფერებით გულუხვად დამშვენებული ინტერნაციონალიზმისა და ძმობის დღესასწაული მარნეულის მიწა-წყალზე გრძელდება — გრძელდება სადაგ დღეებში, მშრომელთა სახელოვან საქმეებში. (საქინფორმი).

ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲒᲣᲚᲨᲘ ᲝᲜᲐᲮᲐᲕᲡ!

ᲡᲙᲙᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒ

Ე. Ა. ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲜᲐᲠᲘᲛᲐᲜ ᲜᲐᲠᲘᲛᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲖᲔ ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲨᲘ

ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲝ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ! ᲙᲐᲪᲝᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲖᲔᲛᲝ!

არიან ადამიანები, რომელთა სახელსაც ხალხი ისე სათუთად ინახავს გულში, რომ მათ მარტო ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღები კალენდრით როდი ვიგონებთ. ასეთია ნარიმან ნარიმანოვის სახელი.

ბოლო წლების მანძილზე ჩვენში იშვა ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შესანიშნავი დღესასწაულები, ამაღელვებელი ინტერნაციონალური დღესასწაულები, რომლებიც ეძღვნება რეგოლუციურ თარიღებს, ისტორიულ მოვლენებს, ჩვენი პარტიისა და ხალხის სახელოვან შვილებს, ჩვენი ქვეყნის ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს, წარჩინებულ დამიანებს, წარმოების ნოვატორებს.

რესპუბლიკის ყველა კუთხეში, ყველა რეგიონში ასეთი ზეიმები სულ უფრო მეტად იძენს ეროვნულ საყოველთაო-სახალხო ხასიათს. ამით ჩვენ გვინდა არა მარტო უკვდავყოთ ფასულთა ხსოვნა, არამედ თანამედროვეთაც მივმართოთ და აღვზარდოთ ახალი თაობა შესანიშნავი ადამიანების გმირობისა და ვაჟკაცობის, ზოგჯერ კი თავდადებით აღსავსე ცხოვრების ამაღლებული მაგალითით, ჩამოვაყალიბოთ ჩვენი ახალგაზრდობა მხურვალე საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, კომუნისტური პარტიისა და ჩვენი დიადი სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, ვზარდოთ უდრეკ რევოლუციონერებად, ხალხის ბედნიერებისათვის, მისი ნათელი მომავლისათვის, მისი კეთილდღეობისათვის, ქვეყნად მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლებად.

დღეიდან ამ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს შორს ღირსეულ ადგილს დაიკავებს **ნარიმან ნარიმანოვის** დღე. ეს დღე, ამხანაგებო, ნამდვილად გახდება დაუვიწყარი, უშინარეს ყოველისა ქალაქ მარნეულისა და მისი რაიონის, სხვა ახლომდებარე რაიონების მშრომელებისათვის, რესპუბლიკის ბევრი რეგიონის წარმოგზავნილებისათვის, განსაკუთრებით უფროდელებისათვის, რომლებსაც მარნეულელებთან აკავშირებთ მეგობრობა, საქმიანი შეჯიბრება, შრომითი მეტოქეობა. დღევანდელი დღე ღირსშესანიშნავი გახდება ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის წარმომადგენლებისთვისაც — აქ არის თბილისის შემომქედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის დიდი რაზმი, რომელიც უკვე კარგა ხანია შეფობას უწევს თქვენს კულტურულ (დაწესებულებებს: ფეიერობთ, რომ ნარიმან ნარიმანოვის დღე დაუვიწყარი იქნება ჩვენი ძვირფასი სტუმრებისთვისაც, რომლებიც ამ ზეიმზე მოძმე აზერბაიჯანიდან და მოძმე სომხეთიდან ჩამოვიდნენ.

ისინი უკვე დაასახელა მიტინგის გახსნისას პარტიის მარნეულის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ი. ლომაძემ.

დღეს ჩვენ ყველანი კიდევ ერთხელ ვიწმუდდებით, რომ ისტორია ხალხთა მეხსიერებაა, რომელიც ინახავს ამათ სახელს, ვინც ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე ღირსშესანიშნავი, ჭეშმარტად დაუვიწყარი რამ გაკეთა, ვინც პროგრესს ემსახურებოდა, ქვეყნად სიკეთეს ამრავლებდა, ხელს უწყობდა ადამიანთა ბედნიერებას, ვინც მთლიანად შესწირა თავი მშრომელთა თავისუფლებისათვის, სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლას და ამით თანამედროვეთა და შთამომავალთა მადლიერი ხსოვნა დაიმსახურა. **დრო ვერ წაშლის ასეთ პიროვნებათა ხსოვნას, მათს საქმეებს, მათს დამსახურებას სამშობლოს წინაშე, ხალხის წინაშე.**

ხალხის ბედნიერებისათვის გამოჩენილ მებრძოლთა შორის, რომელთა ხსოვნა სამარადჟამოდ დარჩება ადამიანთა გონებასა და გულში, ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი განეკუთვნება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, ბოლშევიკთა ლენინური გვარდიის სახელოვან წარმომადგენელს, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ერთგულ მოწაფესა და თანამებრძოლს ნარიმან ნარიმანოვს, რომელიც დიდი ბელადის უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდა, ხშირად ხვდებოდა მას, ჰკონდა მიმოწერა.

წარიმან ნარიმანოვი თავისი ხალხის ის სხვა სახელოვან ადამიანებთან ერთად, რომელთა ცხოვრება, მოღვაწეობა და ბედი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან, დავასახელეთ გასული წლის ოქტომბერში გამართულ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა თბილისში მირზა ფათალი ახუნდოვის სახლმუზეუმის გახსნას, რომელიც ამავე დროს აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების მარადიული ძმობის სიმბოლო, მათი მეგობრობის სახლი გახდა. იმავე დღეს გაიხსნა ამ გამოჩენილი აზერბაიჯანელი მწერლისა და მოაზროვნის, დიდი საზოგადო მოღვაწეს ძეგლი. ასე აღვნიშნეთ მისი დაბადების 170 წლისთავი.

ერთი წლის შემდეგ კი, ოქტომბერი შემოდგომის ასეთსავე ოქტომბრის დღეს, სულ ახლახან, აქ, მარნეულის რაიონში, სოფელ წერაქვში, მიხეილ ჯავახიშვილის სამშობლოში გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „მამულიშვილობა“, რომელიც გამოჩენილ ქართველ მწერალს მიეძღვნა.

დაე, ასეთივე ტრადიციული გახდეს ამიერიდან ნარიმან ნარიმანოვის დღე. და ისიც იყოს „ვატან ოღლუ გიუნუ“ — მამულიშვილობის დღე. ასეთია ხალხის ნება.

ეს დღე დაიწყო შულავრის მატყლის პირველადი დამუშავების ფაბრიკაში გამართული მიტინგით, რომელიც ამ საწარმოსათვის ნარიმან ნარიმანოვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით მოეწყო. ეს, დიახაც, დიდი საწარმოა, რომელიც ყოველწლიურად 250 მილიონი მანეთის პროდუქციას უშვებს.

ახლა კი ნარიმან ნარიმანოვის ძეგლთან შევიკრიბეთ იმისათვის, რომ ჯეროვანი პატივი მივაგოთ მას.

ნარიმან ნარიმანოვის სახელი ძვირფასია ყველა მშრომელისათვის საქართველოში, რომელთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული მისი ცხოვრება. ის ხომ თბილისში დაიბადა, აქ ბაღარა მეედანისა და ძველი ნარიყალის მრავალხმოვან, კოლორიტულ უბანში ჩაიარა მისმა ბავშვობამ. აქ, საქართველოში, დაამთავრა მან გორის სამასწავლებლო სემინარია და აქვე საქართველოში თქვენს რაიონში, სოფელ ყიზილ-აჯლოში გადადგა პირველი ნაბიჯები, როგორც მასწავლებელმა და განმანათლებელმა. და ისევ აქ, თბილისში დაბრუნდა ე.ი.ემად ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕ.).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მორიგ სხდომაზე იმსჯელა, თუ როგორ სრულდება ღონისძიებანი, რომელთა თანახმად 1983 წელს უნდა შეიქმნას რამდენიმე ათასი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ავტომობილის და 5 ათასი ტონა ფოლადის სხმულის, ხოლო 1984 წელს — რამდენიმე ათასი მისაბმელისა და 5 ათასი ტონა თუჯის სხმულის საწარმოო სიმძლავრენი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს ამ ამოცანათა განხილვა ცნო ამ მიზნით დაწესული მუშაობა და შექმნა სამუშაო ჯგუფი იმ საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტისათვის, რომლებიც დაკავშირებულია ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საწარმოო-გაერთიანების სიმძლავრეთა ამოქმედებასთან. გაერთიანების პარტიულ კომიტეტს დაევალა სისტემატიურად გაუწიოს კონტროლი აღნიშნულ სიმძლავრეთა შექმნის ორმხრივი ღონისძიებების შესრულებას.

ბიუროს სხდომაზე მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება მარნეულის რაიონის იკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა ინიციატივა სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მემძიმეწონე მემანქანეთა კოლონას, რომელსაც სათავეში უდგას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ამხ. რ. კ. ილიაშვილი, და რომელმაც გააჩაღა მოძძრაობა დვიზით „მძიმე წონის მატარებელი კოლექტიური მიღწევაა“. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი და სამტრედიელ მემძიმეწონე მემანქანეთა მიმართვა ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა მუშაკისადმი პრესაში გამოქვეყნდება.

მიღებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის და სამოქალაქო ომის მონაწილეთა ცხოვრების პირობების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

შეჯამებულია უწყება-სამინისტროების, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1983 წლის 9 თვის შედეგები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მიერ ამ საკითხზე მიღებული დადგენილების მნიშვნელოვანი გამოვლენებდა პრესაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა და მოიწონა თბილისის ტრიკოტაჟის საკავშირო საწარმოო გაერთიანების, 1-ლი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის, მოდელის ფეხსაცმლის ფაბრიკის, „კამეოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“, ბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, ბათუმის ხის დამამუშავებელი კომბინატის, ქუთაისის ლითონფონის ქარხნის, სოხუმის გაზის აპარატურის საექსპერიმენტო ქარხნის, ფოთის საქალაქო მრეწველმბინატის, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს ქუთაისეს საწარმოო გაერთიანებისა და რესპუბლიკის სხვა სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური ვალდებულებანი მაღალხარისხოვანი სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების გადიდების შესახებ. ამ საკითხზე მიღებული დადგენილებისა და შრომითი კოლექტივების სოციალისტური ვალდებულებების შინაარსი რესპუბლიკურ გაზეთებში გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის ამხ. ი. კ. შარტავას ინფორმაცია რაიონული და საქალაქო საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კონფერენციების მომდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ საქალაქო, რაიონულ პარტორგანიზაციათა კონფერენციები მიმდინარეობს მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე, საქმიანი მიდგომის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში. პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობას განიხილავენ ორგანიზატორული, იდეოლოგიური და სამეურნეო მუშაობის მჭიდრო ერთიანობით. საანგარიშო მოხსენებებში, დელეგატთა გამოსვლებში მთავარი ყურადღება ეთმობა პარტიულ ორგანიზაციათა ამოცანებს კომუნისტების, ყველა მშრომელის დასარაზმავად მიმდინარე წლის დავალებებს ექვლობილი შესრულების, მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის ბოლოს ბოლოს წარმატებით რეალიზაციის ჭეშმარიტ საფუძვლის შექმნისათვის, ღრმად აანალიზებენ იდეურ-აღმზრდელობითი, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობას და მისი შემდგომი სრულყოფის, ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტის იდეოლოგიური უზრუნველყოფის პრობლემებს.

მოისმინეს საქართველოს კომპარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. რ. გ. ქეცბაიას და თბილისის ლენინის რაიკომის პირველი მდივნის ამხ. რ. ი. ჯავახიშვილის ინფორმაცია პარტიული კონფერენციებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნულ პარტიულ კომიტეტებს რჩევა მიეცათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შინაგანი რეზერვების გამოყენების, მატერიალური და ენერგეტიკული რესურსების დაზოგვის, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის საბრძოლველად ძალისხმევის კონცენტრაციის, საბინაო მშენებლობის პროგრამის რეალიზაციის, ზემდგომი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების საქმეში მოპოვებული მიღწევების პროპაგანდის საკითხებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე განხილულ აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მთელი რიგი სხვა საკითხები.

ᲡᲐᲫᲘᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲠᲘᲜᲐ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲛᲬᲧᲝᲨᲘᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲧᲝᲑᲝ ᲮᲐᲐᲛᲭᲠᲝᲡ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲨᲔᲛᲓᲣᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ ᲝᲗᲮᲐᲠ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ, ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲥᲐᲠᲮᲜᲐᲨᲘ, ᲘᲒᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲓᲐᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲗᲣᲪᲮᲝᲠᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲚᲔᲑᲘ ᲒᲕᲘᲩᲘᲜᲔᲑᲔᲑᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔ: ᲛᲐᲠᲪᲮᲜᲘᲓᲐᲜ — ᲑᲠᲘ�გᲐᲓᲘᲠᲘ ᲝᲗᲮᲐᲠ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲒᲚᲐᲖᲝᲕᲘ, ᲒᲣᲠᲐᲛ ᲛᲔᲡᲮᲘ, ᲘᲣᲠᲘ ᲙᲣᲜᲔᲪᲝᲕᲘ ᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲐᲚᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

Ф. ᲙᲠᲘᲜᲘᲪᲘᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

1985 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲨᲘ...

ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ. (ᲮᲐᲯ. ᲙᲝᲠ.). სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში რაიონის საწარმოთა შორის ერთი პირველთაგანია მახარაძის სარემონტო-მექანიკური კომბინატი (დირექტორი რევაზ სალუქვაძე), რომლის მკლავმოუღლელმა მუშაკებმა გადაზე სამი თვით ადრე —პირველი ოქტომბრისთვის შეასრულეს მიმდინარე წლის ყველა ვალდებულებანი. ნაკისრი 724 ათასი მანეთის პროდუქციის ნაცვლად გამოშვებულია 827 ათასი მანეთის პროდუქცია, რაც წლიური დავალების 114 პროცენტს შეადგენს.

კომბინატელებმა ქვეყანას მისცეს 25 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ქების ღირსია კომბინატის მოწინავე ზეინკალი ვასილ სიამაშვილი, მხერხავი როლანდ ქავთარაძე, მემონტაჟეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ბუჭუ კორკოტაძე, შრომისა და ომის ვეტერანი მიხეილ ჯინჭარაძე, ზეინკლები აკაკი ღლონტი და ვლადიმერ ხუბულავა, რომლებმაც დროს გაუსწრეს — 1983-1984 წლების დავალება შეასრულეს და ახლა 1985 წლის ანგარიშში მუშაობენ.

ᲐᲮᲐᲚ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲖᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს წერილის პასუხად დმანისის რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს მომდინარე წლის სამი დეკემბრისათვის — რაიონული პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის — შეასრულონ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის გეგმა. გაზრდილი ვალდებულებები გთვალისწინებულია სახელმწიფოს გეგმის გადაჭარბებით მიპყიდონ 100 ტონა მარცვლეული, 2200 ტონა კარტოფილი, 10-10 ტონა ხილი და ბოსტნეული, 250 ტონა რძე, 40 ტონა ხორცი, 250 ათასი ცალი კვერცხი. (საქინფორმი).

ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ-ᲚᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲐ

23 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ მორიგი მეცადინეობა გამართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსისტულ-ლენინური თეორიისა და კომუნისტ

ᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲖᲔ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲝᲜᲐᲮᲐᲕᲡ!

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ)

ეროვნული მშენებლობის თვალსაჩინო თეორეტიკოსმა და მრაქტიკოსმა ნარიმან ნარიმანოვმა დიდი წვლილი შეიტანა ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნაში, აზერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის განმტკიცებაში, დიდ რუს ხალხთან მათი ურღვევი, მარადიული კავშირის შედეგობებში. ამ კავშირის ცხოველმყოფელი ძალის, მონოლითობის მკაფიო დემონსტრაციად იქცა ამას წინათ რუსეთისა და საქართველოს მეგობრული გეორგიევსკის ხელშეკრულების 200 წლისთავის ზეიმი.

თავისი შინაარსიანი ცხოვრების ბოლომდე შეინარჩუნა ნარიმან ნარიმანოვმა ყველაზე გულთბილი, ყველაზე კეთილი გრძნობები საქართველოსადმი. იგი დიდ პატივს სცემდა და უყვარდა ქართველი ხალხი, იცოდა მისი ენა, მისი კულტურა. სწორედ თბილისში გაიფურჩქნა მისი, როგორც ლიტერატორის, მწერლის, პუბლიცისტის ნიჭი. აქ შექმნა მან პირველი დრამატურგიული ნაწარმოებები, რომლებმაც ფართო პოპულარობა მოუპოვა. ისინი ავტორის დიდი განათლებისა და საოცარი ერუდიციის დასტურია. საგულისხმოა, რომ სწორედ თბილისში დაიდგა პირველად მისი პიესები. სწორედ აქ შეიყვარა თეატრი, როგორც კულტურისა და განათლების დიდი კერა. აქ დაამყარა ჰმეერო, მეგობრული ურთიერთობა ქართული ეროვნული კულტურის ისეთ მოღვაწეებთან, როგორიც იყვნენ ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, შალვა დადიანი.

ურიგო არ იქნებოდა მისი ნაწარმოებები თანამედროვე მკითხველისა და მაყურებლისთვისაც გაგვეცნო, ისინი შეიკავენ მტკიცე პროტესტს წარსულის მავნე გადმონაშთების, ჩამორჩენილი შეხედულებების წინააღმდეგ. მათში გაისმის მაზნებარე მოწოდება ვეფრთხილდებოდეთ ქალის ღირსებასა და პატიოსნებას, პატივისცემით ვეკიდებოდეთ მას.

1920 წელს, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების წელს, ნარიმან ნარიმანოვი მეთაურობდა აზერბაიჯანის რევოლუციურ კომიტეტს, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე იყო. ორი წლის შემდეგ ამიერკავკასიის კავშირის საბჭოს თავმჯდომარეა, სსრ კავშირის შემდეგ კი სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ერთ-ერთი თავმჯდომარე. ნარიმან ნარიმანოვი იყო რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს, პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წევრი, რკპ(ბ) XII და XIII ყრილობების დელეგატი, რომლებზეც ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად აირჩიეს.

პარტიის საყვარელმა შვილმა, ნარიმან ნარიმანოვმა მის იდეალებს, ხალხთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლას მოანმარა მთელი თავისი ცოდნა, მთელი თავისი ნიჭი, მთელი თავისი გულის მგზნებარება. ხოლო როცა მისმა გულმა შეწყვიტა ძგერა, გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის კუბო შეამკეს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის გვირგვინით, რომელზეც წარწერილი იყო მეტად მნიშვნელოვანი სიტყვები: „აღმოსავლეთის ხალხთა რევოლუციურ ბელადს და იმპერიალიზმის მიერ დამონებულთა სრული განთავისუფლებისათვის ბებში, რომლებსაც რესპუბლიკამ ბოლო წლებში მიადწია, ფრიად მნიშვნელოვანია მარნეულის რაიონის მშრომელთა წვლილი.

მისი ინდუსტრიული განვითარების მაღალ დონეს მოწმობს აგრეთვე ერთ სულ მოსახლეზე მრეწველობის მთლიანი პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი, რომელიც აქ საგრძნობლად აღემატება შესაბამის საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს. სამრეწველო წარმოების მოცულობის ასეთი ზრდა როგორც მთლიანად, ისე ერთ სულ მოსახლეზე განგარიშებით, მარნეულის რაიონში განპირობებულია დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებით. მნიშვნელოვნად გაიზარდა მრეწველობის საწარმოო ფონდები, შრომის ფონდაღჭურვა.

ამრიგად, ინდუსტრიული განვითარებისა და საერთო-რესპუბლიკურ სამრეწველო პოტენციალში წვლილის მიხედვით მარნეულის რაიონი მნიშვნელოვნად უსწრებს საქართველოს სსრ მეტწილ რაიონებს, ხოლო მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით არა მარტო საშუალო რესპუბლიკურ დონეზეა, არამედ აღემატება კიდეც მას.

მაღალი დონეა მიღწეული სოფლის მეურნეობის განვითარებაში. მეათე ხუთწლედის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობამ 30 მილიონი მანეთი შეადგინა. ბევრი როდინა ჩვენში ასეთი რაიონი. 1980 წელს მარნეულის რაიონში ერთ სულ მოსახლეზე წარმოებული იყო 44 პროცენტით მეტი სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. ეს მიღწეულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების დაჩქარებული ტემპის და, ცხადია, მარნეულის რაიონის მშრომელთა გმირული გარჯის მეოხებით. 10 წლის მანძილზე საზოგადოებრივი სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია როგორც საერთოდ რესპუბლიკაში, ისე მარნეულის რაიონში 1,6-ჯერ გაზრდა.

1970 წელთან შედარებით 1985 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მოცულობა ყველა კატეგორიის მეურნეობებში აქ 1,8-ჯერ და მეტად გაიზრდება. და ეს, როგორც პარტიის მარნეულის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ქ. ს. მამედოვი ადასტურებს, სრულიად რეალური გაანგარიშებანი, სრულიად რეალური გეგმებია. მარნეულის რაიონში, ისევე როგორც რესპუბლიკის სხვა რაიონებშიც, შეინიშნება ძალზე მნიშვნელოვანი ტენდენცია — ეს არის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში საზოგადოებრივ მეურნეობათა წილის ზრდა. თუ 1972 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობაში საზოგადოებრივი მეურნეობების ხვედრითი წილი 47,2 პროცენტს შეადგენდა, 1980 წელს ეს მაჩვენებელი 54,2 პროცენტით გაიზარდა და ამით თითქმის მიაღწიეს შესაბამის რესპუბლიკურ მაჩვენებელს, თუმცა, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება საკარმიდამო ნაკვეთებზე მთლიანად აგრეთვე მატულობს. სწორედ საზოგადოებრივი მეურნეობების განმტკიცების, მაფი საწარმოო პოტენციალის თანამიმდევრული გადიდების მეოხებით, ამ კატეგორიის მეურნეობების ხვედრითი წილი სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის საერთო მოცულობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 1982 წელს საზოგადოებრივ მეურნეობებშია შესყიდული პირუტყვისა და ფრინველის 76 პროცენტი, რძისა — 93 პროცენტი, ბოსტნეულისა — 62 პროცენტი, კარტოფილისა — 81 პროცენტი და ა. შ. ათწლეულის მანძილზე მარნეულის რაიონში სოფლის მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდები 73 პროცენტით გაიზარდა, რისი მეშვეობითაც დარგში შრომის ფონდაღჭურვამ იმატა 88 პროცენტით, ხოლო რესპუბლიკური მასშტაბით — 72 პროცენტით.

რაიონში ხორციელდება კაპიტალური მშენებლობის, განსაკუთრებით სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის ფართო პროგრამა. მარტო ბოლო 5-6 წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაცემულია 11 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის მქონე 12 საცხოვრებელი სახლი. ბოლო ათწლეულში საერთო სანაბარო ფართობი მარნეულის რაიონში 34,4 პროცენტით გაიზარდა. მეთერთმეტე ხუთწლედში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე აქ აშენდება 26,5 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლები. საგრძნობლად მაღლდება მოსახლეობის ბინებით უზრუნველყოფის დონე. მარნეულის რაიონში ერთ მცხოვრებზე მოდის 16,4 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც შეესაბამება საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებელს.

იზრდება და მშვენდება დასახლებული პუნქტები. ბოლო წლებში გაყვანილია ახალი გზახიდი, კეთილმოწყობილია რაიონის 50 სოფელი, სამ სოფელში ამოქმედდა 600-ნომრიანი ავტომატური სატელეფონო სადგურები; ორ სოფელში აშენდა კულტურის სახლები, გაყვანილია 54 კილომეტრი მოასფალტებული გზები, 80 კილომეტრზე მეტი ღორღის საფარიანი გზები. მარნეულში შენდება დიდი ელევატორი, პურკომბინატი, საკონსერვო ქარხნები, აშენდა სასწავლო-სპორტული კომპლექსი, არსებითად, თითქმის ხელახლა აიგო შენობა მეგობრობის მუზეუმისათვის, გაიხსნა ახალი დიდი სავაჭრო ცენტრი, შენდება კულტურის სახლები, ქორწინების სახლი და ბევრი სხვა რამ.

ინტენსიურად წარმოებს სკოლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა. ხუთ წელიწადში აშენებულია 3500 მოსწავლისათვის გათვალისწინებული 10 სკოლა, 400 ბავშვისათვის გათვალისწინებული 6 საბავშვო ბაღა-ბაღი, თუმცა ესეც ძალიან ცოტაა. 1984 წელს დასახული ახალი რუსული სკოლის მშენებლობა. მეთერთმეტე ხუთწლედში სკოლების რიცხვი თითქმის 15 პროცენტით გაიზრდება.

როგორ არ გავიხსენოთ, რომ იმ წელს, როცა ნარიმან ნარიმანოვი ყიზილ-აჯლოში მასწავლებლად მუშაობდა, ამ სოფელში მხოლოდ ერთი დაწყებითი სკოლა იყო, რომლისთვისაც დიდი გაჭირვებით აშენდა მხოლოდ სამი ოთახი, ხოლო წლის მანძილზე მოსწავლეთა რიცხვი მხოლოდ 14-ით გაიზარდა. სკოლაში ყველა საგანს ერთი მასწავლებელი ასწავლიდა. ეს იყო ნარიმან ნარიმანოვი.

ახლა ყიზილ-აჯლო დიდი, კეთილმოწყობილი სოფელია. 1979 წელს აქ აშენდა აზერბაიჯანული საშუალო სკოლის ახალი შენობა. ახლა ამ სოფელში ორი სკოლაა, სადაც 850 ბავშვი სწავლობს და 100-ზე მეტი მასწავლებელი მუშაობს, რომელთა შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც უმაღლესი განათლება მშობლიურ, აზერბაიჯანულ ენაზე თბილისში მიიღეს.

რაიონის 89 სკოლაში ამჟამად სწავლობს თითქმის 25 ათასი მოსწავლე, და ყოველ ათი ათას სულ მოსახლეზე მოდის უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი. განათლების მქონე 421 კაცი და საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე 2147 კაცი. ასეთია მარნეულის რაიონის, თქვენი შესანიშნავი რაიონისა და შესანიშნავი ხალხის დღევანდელი დღე.

წლითიწლობით მატულობს რაიონის მოსახლეობა. ბოლო ათწლეულში იგი თითქმის 11 პროცენტით გაიზარდა. უმჯობესდება სამედიცინო მომსახურება. 10 ათას კაცზე ახლა მოდის 46 საავადმყოფო საწოლი, 15 ექიმი, 45 საშუალო სამედიცინო მუშაკი, შენდება 540-საწოლიანი საავადმყოფო-პოლიკლინიკა, რომელიც ცვლაში 600 პაციენტს მიიღებს, მისი პირველი რიგი ამოქმედდება მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევს.

მნიშვნელოვანი წარმატებანია მიღწეული ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარებაში.

რაიონის დაჩქარებულ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას დამაჯერებლად მოწმობს ადამიანთა რეალური შემოსავლისა და გასავლის ზრდა. მეცხრე ხუთწლედში ისინი 82,6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მეათე ხუთწლედში — 57,1 პროცენტით. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი მარტო ბოლო ათწლეულში 40 პროცენტით და მეტად გადიდდა.

სხვა ფაქტორებთან ერთად ცხოვრების დონის ზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია ხდივიდუალური მფლობელობაში არსებული ავტომოტორანსპორტის რიცხვი. ამ მაჩვენებლის მიხედვით თქვენს რაიონს ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია სხვა რაიონებს შორის რესპუბლიკაში, რომელიც, თავის მხრივ, ავტომანქანების, მოტოციკლების, მოტოროლერების რაოდენობის მიხედვით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა საბჭოთა კავშირში. **ეს მოწმობს, რომ რაიონის სამრეწველო საწარმოებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშები, მოსამსახურეები, კარგად მუშაობენ და კარგ ხელფასსაც იღებენ. და ეს მხოლოდ გვასაჩუქრებს. პატიოსანი, კეთილსინდისიერი კაცი, ნამდვილი მშრომელი კარგადაც უნდა იყოს უზრუნველყოფილი.**

მაგრამ მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება არ ხსნის მოსახლეობის შრომითი დასაქმების, საზოგადოებრივ წარმოებაში მისი ჩაბმის პრობლემას. და ამ პრობლემას სერიოზულად, ძალიან სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი. იგი ყველას გვაწუხებს.

ქალაქ მარნეულისა და მარნეულის რაიონის შემდგომი დაჩქარებული ეკონომიკური და სოციალური განვითარების ეს და მრავალი სხვა საკითხი საკმაოდ სრულად ანსახება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სპეციალურ დადგენილებში, რომელსაც მეგიორეთ უახლოეს დროში, რაიონულ და საქალაქო პარტიული კონფერენციების განსხილ დღისათვის. თავად მარნეულის რაიონიდან ქალაქ მარნეულის გამოყოფისა და მისი რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გადაქცევის ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს პარტიისა და მთავრობის მუდმივ ყურადღებასა და ზრუნვას თქვენი რეგიონის მოსახლეობისათვის. განხორციელებული ღონისძიებანი საშუალებას მოგვცემს გეგმაზომიერად წარვმართოთ ადამიანების შრომითი დასაქმების პრობლემების გადაჭრა, მრეწველობის პროგრესული დარგების განვითარება, რესპუბლიკისა და ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში სხვადასხვა სპეციალობის, სხვადასხვა პროფილის კადრების მომზადება. გავა არცთუ ისე დიდი დრო, და მარნეული გადაიქცევა კიდევ უფრო კეთილმოწყობილ ქალაქად, მაღალი ინდუსტრიული პოტენციალის, განვითარებული ინფრასტრუქტურის მქონე ქალაქად, რესპუბლიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად.

დღეს გვინდა განსაკუთრებით გავუსვამთ ხაზი, რომ **სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწეულ მთელ თქვენს წარმატებებს საფუძვლად უდევს ბეჯითი, გმირული, თავდადებული მუშაობა თქვენი ქალაქის და თქვენი რაიონის მშრომელებისა,** რომლებიც ცხოვრობენ ერთიან, ერთსულოვან, ნამდვილად ინტერნაციონალურ ოჯახად: ესენი არიან აზერბაიჯანელებიც, ქართველებიც, სომხებიც, რუსებიც, უკრაინელებიც, აფხაზებიც, ოსებიც, ებრაელებიც, ბერძნებიც, ქურთებიც, სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც. მთელი თქვენი მიღწევები, ძვირფასო ამხანაგებო, ყველა ხალხის მეგობრობისა და ძმობის ნაყოფია.

ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ ერთი კანონით, ერთი წესით: **საერთო გვაქვს ბერიც და ლხინიც!** როცა დამნისის რაიონში უბედურება დატრიალდა და მიწისძვრის შედეგად სახალხო მეურნეობას დიდი ზარალი მიადგა, როცა დაზიანდა საცხოვრებელი სახლების, საზოგადოებრივი შენობების, კომუნალური ნაგებობების უმრავლესობა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 70 ობიექტი, მაშინვე გაუწიეს რაიონს დახმარება რესპუბლიკის ყველა ქალაქმა და რაიონმა, ჩვენმა ავტონომიურმა ფორმირებებმა — აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, აჭარის ასს რესპუბლიკამ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა. ამის შედეგად დამნისის რაიონში აშენდა სხვადასხვა საზოგადოებრივი დანიშნულების 180 დიდი ობიექტი, ხელახლა აიგო 1.780 და კაპიტალურად შეკეთდა სამი ათასზე მეტი საცხოვრებელი სახლი. აი, ასეთი კანონები მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში, მათ შორის — ჩვენს რესპუბლიკაშიც. განსაკუთრებით დიდი დახმარება გაუწიეს დაზარალებულთ რესპუბლიკის დედაქალაქმა, თბილისს ყველა რაიონმა. ბევრი რამ გააკეთეს სოხუმის, ბათუმის, ცხინვალის, ქუთაისის, რუსთავის, მახარაძის, თელავის, გურჯაანის, გარდაბნის, საქართველოს სხვა ქალაქებისა და რაიონების მშრომელებმა. თითოეული შეფობდა თავის ობიექტს — სკოლები, საავადმყოფოები, მედპუნქტები, კლუბები, ბიბლიოთეკები, საბავშვო ბაგა-ბაღები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, სოფლის მაღაზიები უმოკლეს ვადებში აშენდა.

ამაღლებელი ზრუნვა გამოიჩინეს მარნეულისა და ბოლნისის რაიონების მშრომელებმა, რომლებმაც შეიფარეს უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები. დიდი და უანგარო დახმარება გაუწიეს თქვენი რაიონის საბრწველო საწარმოებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, ბევრი რამ გააკეთეს დაზიანებული შენობების აღსადგენად თქვენმა მუშებმა და სპეციალისტებმა, **დმანისელები არასოდეს არ დაივიწყებენ, რომ, როცა უჭირდათ, როცა უმძიმდათ, მთელი რესპუბლიკა მოვიდა დასახმარებლად, მთელი რესპუბლიკა აღადგენდა დაზარალებულ რაიონს, მთელი რესპუბლიკა აშენებდა!** და დღეს დმანისი რესპუბლიკის ერთ-ერთი ულამაზესი და კეთილმოწყობილი ქალაქის ტიპის დაბაა.

ასეთია ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ძალა! ასეთია ჩვენი სოციალისტური პრინციპი: სოციალისტურ საზოგადოებაში ერთნაირია, თანაბარია ზრუნვა ყველა ეროსა და ეროვნებისათვის! ასეთი ცხოვრების პრინციპი გვაანდერძეს ძველი ლენინური გვარდიის რევოლუციონერებმა, გვიანდერძეს ნარიმან ნარიმანოვმა, მისმა მასწავლებლებმა, მისმა თანამებრძოლებმა.

ის, რომ ჩვენი ძალა ყველა ხალხის, ყველა ეროსა და ეროვნების მეგობრობა და ძმობა, ერთობა და შეკავშირებაა — ეს იციან ჩვენმა კლასობრივმა მტრებმაც, რომლებიც ყოველნაირად ცდილობენ შეარყიონ ეს მეგობრობა, ეს ძმობა, ჩირქი მოსცხონ ჩვენს სოციალისტური ცხოვრების წესს, შუღლი ჩამოაგდონ ჩვენს შორის, ერთმანეთს წაჰკიდონ ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, სხვა ხალხები. მაგრამ ეს ამაო ცდებია, ამაო იმედებია, უსარგებლო და უაზრო ვარაუდებია! ამიტომ გაწბილულია! მთელი ამ ხრიკების პასუხად ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ შევაკავშირებთ ჩვენს რიგებს, უფრო მეტად დავრაზმავთ ხალხს ლენინური კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ლენინური პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გარშემო! და დღევანდელი ჩვენი შეხვედრა, აზერბაიჯანელი ხალხის, მთელი საბჭოთა ხალხის გამოჩენილი შვილისადმი მიძღვნილი ინტერნაციონალური მეგობრობის დღევანდელი დღესასწაული ამის საუკეთესო დასტურია!

დღეს, ნარიმან ნარიმანოვის დღეს, ვამბობთ: **კიდევ უფრო განვამტკიცებთ ჩვენი ხალხების მეგობრობას, თვალისჩინივით გავუფრთხილდებით ჩვენს უდიდეს სიმდიდრეს, ჩვენს უდიდეს ღირებულებას — ხალხთა ლენინურ მეგობრობას, საბჭოთა ადამიანების ლენინურ ძმობას, რომელსაც საფუძველს უყრიდნენ დიდი ლენინის ისეთი თანამებრძოლნი, ისეთი ბოლშევიკ-ლენინელები, როგორიც ნარიმან ნარიმანოვი იყო.**

ამ მიზნის ერთგულნი ვიქნებით, რამეთუ ეს და მხოლოდ ეს არის ჩვენი დღევანდელი შეხვედრის მთელი აზრი, რამეთუ ჩვენი საყვარელი, ჩვენი დიდი სამშობლოს აყვავება მთავარი მიზანია ყველასათვის, ვინც დღეს შეკრებილა ამ მიტინგზე ჩვენ ყველანი ხომ — ქართველები და რუსები, აზერბაიჯანელები და სომხები, აფხაზები და ოსები — ერთი სამშობლოს — დიდი და მძლავრი საბჭოთა კავშირის შვილები ვართ!

ერთ მწყობრში, მჭიდროდ შეკავშირებული რიგებით, ერთმანეთის მხარდამხარ მიდიან მოძმე ხალხები კომუნიზმის მანათობელი მწვერვალებისაკენ, კომუნიზმისა, რომელზეც ოცნებობდა, რომლისთვისაც ცხოვრობდა და იბრძოდა ნარიმან ნარიმანოვი.

მის სახელს ხალხი გულში ინახავს!

გაუმარჯოს დიდი რუსი ხალხის მეთაურობით საბჭოთა ხალხების დიად, ურღვევ მეგობრობას!

კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმისკენ!

სპუბლიკა აღადგენდა დაზარალებულ რაიონს, მთელი რესპუბლიკა აშენებდა!

ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲗᲔᲛᲐᲖᲔ

ᲛᲘᲕᲘᲮᲔᲓᲝᲗ ᲯᲐᲠᲗᲘ!

ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ დავიწყებთ იმით, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა ვერ იქნა და ვერ დაუწესეს მტკიცე კონტროლი სახელმწიფოსათვის ჯართის შეგროვებისა და ჩაბარების მსვლელობას. ამ საკითხისადმი სრული უპასუხისმგებლობას იჩენენ მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, საწარმოო გაერთიანებების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. მეორეული ლითონის დამზადების ისინი გულგრილად ეკიდებიან, ეს მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ, და საკითხავი რატომ?

ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ ლითონს ელოდება რესპუბლიკისა და საერთოდ ქვეყნის უკიდეგანო მეტალურგიული და მანქანათმაშენებელი საწარმო. ჯართის ურჩი ჩამბარებლების „წყალობით“ ფერხდება ძმძე მრეწველობის წამყვანი დარგების მუშაობა. ნუთუ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელს შეხსენება უნდა სჭირდებოდეს, რომ დაძაბული სახელმწიფო გეგმებისა და ნედლეული რესურსების ნაკლებობის პირობებში მეორეულ ლითონს პრინციპულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება?!

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ სტაბილური ვითარების შექმნა ამ მიმართულებით, მიუხედავად ზემდგომი ორგანოების არა ერთი და ორი მითითებისა, არ ხერხდება.

მიმდინარე თვის დამთავრებამდე ორიოდე დღეა რჩება და ჯართის დამზადების გეგმის შესრულებას ათასობით ტონა აკლია. ამ წუთში ძნელია დააზუსტო, ვინ როგორ მოერევა ნოემბრის დავალების შესრულებას, მაგრამ გასული თვის — ოქტომბრის მონაცემებით თუ ვინმეს მძღვანელებთ, ბევრი რამ გასაგები გახდება.

საქმე ის გახლავთ, რომ ოქტომბერში მეორეული ლითონის დამზადების გეგმის თვი ვერ გაართვა 33 რაიონმა. მათ შორის არის თბილისის ორჯონიკიძის და კიროვის, მაიაკოვსკის, საგარეჯოს, მარნეულის, წალკის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, თერჯოლის, ზუგდიდის, მახარაძის, ონის და სხვა რაიონები. საინტერესოა, ვინ დაფარავს იმ 1500 ტონა ჯართის დანაკლისს, მათ რომ' არ გაუგზავნეს მომხმარებელს? დიდძალი მეორეული ლითონის დაგალიანებანი აქვთ სასოფლო მშენებლობის, ვაჭრობის, კომუნალური მეურნეობის, კავშირგაბმულობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებს, თბილისის საქალაქო საბჭოს ორგანიზაციებს, ცეკავშირის სისტემის ობიექტებს...

პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, სამინისტროებმა კარგად იციან მათდამი დაქვემდებარებული რომელი ორგანიზაცია ვერ ასრულებს სახელმწიფოსათვის ჯართის ჩაბარების გეგმებს და პასუხი უნდა მოსთხოვონ მათს ხელმძღვანელებს.

მეორეული ლითონის დამზადებაზე ზრუნვა ყველა ორგანიზაციის უპირველესი საზრუნავი უნდა გახდეს. ამ თემაზე უსარულო, გაუთავებელ ლაპარაკს ბოლო უნდა მოეღოს. თვის ბოლომდე დარჩენილ დროში კიდევ შეიძლება ბევრი რამ გაკეთდეს, თუ საქმისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას გამოვიჩენთ, რატომ მოადუნეს ყურადღება სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან არსებულმა მუდმივმოქმედმა კომისიებმა, რომლებიც მოვალენი არიან აკონტროლონ და უშუალოდ უხელმძღვანელონ ჯართის შეგროვებას და ჩაბარებას?

ჯართის დამზადების ნორმებრის, თერმეტი თვისა და წლიური დავალებები უთუოდ უნდა შესრულდეს!

ᲠᲩᲔᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲕᲔᲜ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტმა ახალგაზრდობის ჰეროიკულ-პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, ომის ვეტერანებისადმი ქმედითი იურიდიული დახმარების გაწევისათვის და კავკასიისათვის ბრძოლის 40 წლისთავთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა კომიტეტის თბილისის სექციის საზოგადოებრივი იურიდიული კომისია დააჯილდოვა' სპატიო სიგელით.

კომისიას სათავეში უდგას მეორე 18 არმიის ვეტერანი, მცირე მიწაზე ბრძოლების მონაწილე, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე შ. მახარაძე.

საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობისათვის მადლობა დაიმსახურეს იურისტებმა ვ. დოლიძემ, ვ. კერესელიძემ, პ. შუშანიამ, ბ. მანუკოვმა და სხვებმა.

საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა თბილისის სექციის იურიდიულ კომისიას დაგეგმილი აქვს შექმნას საკონსულტაციო პუნქტები რესპუბლიკის დედაქალაქის ყველა რაიონში.

ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲔᲑᲘ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲐᲜᲑᲐᲠᲘᲨᲒᲔᲑᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘ ᲔᲜᲒᲣᲠᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲘᲓᲐᲜ

— **ᲪᲮᲐᲓᲘᲐ**, ის სიძნელეები, რომლებიც დღეს კაშხალმშენებელთა წინაშე დგას, ჩვენი უბნის მუშაობაზეც ახდენს გავლენას. ამიტომაც იყო, რომ უბნის კომუნისტებმა, ეფიქრობ, ამ შემთხვევაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ: ძირითადი აქცენტი შინაგანი რეზერვების ძიება-ამოქმედების, დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერების ზრდის, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების, საშენი მასალების ყაირათიანი ხარჯვის და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გადავიტანეთ, შრომელებიც საამისოდ დავრაზმეთ...

— ეს სიტყვები უნიკალური თაღოვანი კაშხალის მშენებლობის სამმართველოს მებეტონთა პირველი ბრიგადის ხელმძღვანელმა კუკური აკობიამ ენგურჰესელ კომუნისტთა ახლახან გამართულ მეთერთმეტე პარტიულ კონფერენციაზე წარმოთქვა.

რომელ სიძნელეებსა და, აქედან გამომდინარე, კომუნისტთა მიერ მიღებულ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებაზეა ლაპარაკი?

მოწინავე მშრომელის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის კ. აკობიას ბრიგადა, და, საერთოდ, მაღლივი კაშხალის მშენებლობის სამმართველო, სადაც იგი მუშაობს, მუდამ მოწინავეთა შორის იდგა, გადაჭარბებით ასრულებდა გეგმა-ვალდებულებებს. მაგრამ აი, მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილი პერიოდი კაშხალმშენებელთათვის წარუმატებელი გამოდგა. ვერ შესრულდა როგორც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ისე უნიკალური თაღოვანი კაშხალის ტაში ბეტონის ჩადების საგეგმო დავალებანი.

ასეთი ჩავარდნა, როგორც ეს კონფერენციაზეც ხაზგასმით აღინიშნა, ძირითადად რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საწარმოების მიერ ენგურჰესელთა ცუდი, ურიტმო მომარაგების შედეგია. მაგალითად, შარშან ცემენტის უქონლობის გამო 66 დღის განმავლობაში კაშხალმშენებლები პრაქტიკულად უშიმშედოდ იყვნენ. მოცდენები იყო წლეულსაც. ცხრა თვეში რუსთავის ცემენტის ქარხანამ მათ 9120 ტონა სპეციალური მარკის ცემენტი დააკლო, ხოლო საერთოდ ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს ამ ბოლო 2,5 წლის განმავლობაში ქარხანამ 35 ათასი ტონა ცემენტი არ გამოუგზავნა. ცუდი მდგომარეობაა მშენებელთა ქვეშეთ, სილით, აგურით, მოსაპირკეთებელი გრანიტის ფილებით მომარაგების მხრივაც და ა. შ.

ყოველივე ეს, ცხადია, არღვევდა მუშაობის რიტმს, ერთგვარად გულს უცრუებდა მშრომელებს, იწვევდა კადრების დენადობასაც, და სწორედ ასეთ პირობებში განსაკუთრებით ზელშესახებად წარმოჩნდა ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს პარტიული კომიტეტის, მისი მთელი 1080-ეაციანი პარტორგანიზაციის როლი და უნარი. პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობით სწორედ აქაური კომუნისტები იყვნენ ყველა სასიკეთო თაოსნობა-სიახლის წამომწყებნი, ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოიყენებინათ არსებული შესაძლებლობანი, დაერაზმათ მშრომელები წარმატებული მუშაობისათვის. სწორედ ამის შედეგია, რომ, ასეთი სიძნელეების მიუხედავად, ენგურჰესელებმა მაინც შეძლეს მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახელმწიფო დავალების შესრულება. გაიზარდა ელექტროენერგიის წარმოების სიმძლავრეები, საექსპლოატაციოდ გადაეცა სამრეწველო საწარმოები, გადაჭარბებით შესრულდა საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის გეგმები...

ამის მოთავენი კომუნისტები იყვნენ. ამიტომ სპეციალურად დავიწყეთ ეს ანგარიში კ. აკობიას გამოსვლით, რადგან იგი სრულად გამოხატავდა კონფერენციის თითოეული მონაწილის გულისთქმას, მ

23 ნოემბერი

ულტიმატუმი

ფაქტები
მოვლენები

საკლესიო
იუწყება

ერყევი, თანამიმდევრული კურსი

მტკიცედ უჭერენ მხარს საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივებს.

ლუანდა. ანგოლის ხალხი და მთავრობა მტკიცედ უჭერენ მხარს სსრ კავშირის სამშვიდობო ინიციატივებს, წინადადებებს, რომლებიც ბოლო დროს წამოაყენა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა, განაცხადა აქ მპლაშრომის პარტიის თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟ. ე. დოს სანტუშმა. ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა მან, განსაკუთრებით მივესალმებით საბჭოთა კავშირის ვალდებულებას პირველმა არ გამოიყენოს ბირთვული იარაღი.

ანგოლის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის, სოლიდარობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელიც ანგოლელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გარიჟრაჟზე წარმოიშვა, კვლავ მტკიცდება თქვა ჟ. ე. დოს სანტუშმა; ეს ურთიერთობა მოიცავს ყველა დარგს და ორივე ხალხის ინტერესებს ემსახურება. პრეზიდენტმა ხაზი დაუპირა საბჭოთა კავშირ-ანგოლის, მათ შორის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მპლაშრომის პარტიის, ორი ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების კავშირურთიერთობის შემდგომ გაფართოება-გაღრმავებას.

ფიდელ კასტრო. **კორეელი ხალხი მხარს უჭერს და დიდად აფასებს საბჭოთა ინიციატივებს, რომელთა მიზანია უზრუნველყონ მშვიდობა ევროპასა და მთელ მსოფლიოში, განაცხადა საკადესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში სრულიად კორეის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა ხან სენ გუკმა.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. ვ. ანდროპოვმა თავის გამოსვლებში გადაჭრით დაგმო ამერიკელ იმპერიალისტთა ხრიკები, რომლებიც ცდილობენ დასავლეთ ევროპაში განალაგონ საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები.

პ. გომესმა აღნიშნა, თუ რაოდენ საჭიროა ყოველი ღონე იხმაროს, რათა ჩაშალონ ამერიკის შეერთებული შტატების ინტერვენციონისტული ხრიკები ცენტრალურ ამერიკაში და მიაღწიონ ამ რეგიონის პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას.

დამასკო. **პალესტინის საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება დაიმსახურა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულმა საგარეო პოლიტიკამ, სსრ კავშირის კონსტრუქციულმა კურსმა ახლო აღმოსავლეთის საქმეებში, იმ მხარდაჭერამ, რომელსაც საბჭოთა კავშირი უწევს არაბი ხალხის სამართლიან მისწრაფებებს, განაცხადა აქ საკადესის კორესპონდენტთან საუბარში პალესტინის ეროვნული საბჭოს წევრმა, ცნობილმა პალესტინელმა ჟურნალისტმა და მწერალმა ჯამილ ხილილმა.** საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარული საგარეოპოლიტიკური ინიციატივები, რომლებიც ჩამოყალიბებული ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლებში, მიზნად ისახავენ იმ მნიშვნელოვანი მონაპოვრების შენარჩუნებას, რომლებიც მოუტანა ხალხს გაიარაღებამ, უგუნური გაჯალებული შეიარაღების ალაგმვას, რომელიც მილიტარისტული წრეების მიზეზით გრძელდება. საბჭოთა, საგარეო პოლიტიკას, აღნიშნა ჯ. ხილილმა, ახასიათებს მაღალი ჰუმანიზმი და ინტერნაციონალიზმი, თითოეული ხალხის იმ უფლების ღრმა პატივისცემა, რომ თავად წყვეტდეს თავის ბედს.

● მაროკო

საბჭოთა ფოტოგამოფენა

მაროკოელები ეცნობიან საბჭოთა ადამიანების მრავალმხრივ ცხოვრებას

რაბათი. **მაროკოში მიმდინარე საბჭოთა კავშირის კულტურის დღეების ფარგლებში დედაქალაქის ეროვნულ თეატრში დიდი ფოტოგამოფენა გაიხსნა.** ამ გამოფენაზე საბჭოთა კავშირს წარმოადგენს საქართველოს სსრ რესპუბლიკა. საბჭოთა ადამიანების მრავალმხრივ ცხოვრებას ასახავენ განყოფილებები „საბჭოთა კავშირი — მშვიდობისა და აღმშენებლობის ქვეყანა“, „საბჭოთა საქართველო დღეს“, საბჭოთა გამომცემლობების წიგნები და ალბომები, მხატვრული პლაკატები და საფოსტო მარკები. ცალკე განყოფილება ეძღვნება საბჭოთა კავშირ-მაროკოს თანამშრომლობას.

„მშვენიერი, ბრწყინვალე ექსპოზიციაა. იგი თვალწინაც ასახავს საბჭოთა კავშირში ბოლო ათწლეულის მანძილზე სრულიად განსხვავებულ დარგებში მიღწეულ პროგრესს. შთამბეჭდავია საქართველოს სსრ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური მიღწევები.

| განსაკუთრებით აღსანიშნავია „მაროკო-სსრ კავშირის“ მეგობრობის საზოგადოების დიდი წვლილი საბჭოთა კავშირ-მაროკოს კულტურული ურთიერთობის განვითარება-განმტკიცებისა და ჩვენი ხალხების ურთიერთგაგების გაღრმავების საქმეში“. ასეთი ჩანაწერი გააკეთა გამოხმაურებათა წიგნში მაროკოს კულტურის მინისტრმა საად ბენ ბაშირმა.

ფოტოგამოფენის გახსნას დაესწრნენ აქ ვიზიტად მყოფი საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დ. ნ. დვალიშვილი, მაროკოს საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები, მაროკოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების მეთაურები, სხვა ოფიციალური პირნი.

● პოლონეთი

სეიმის სესია

ვარშავა. **აქ მუშაობა დაამთავრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის ორდღიანმა სესიამ.** მან განიხილა მთავრობის მთელი რიგი კანონპროექტები, მათ შორის 1984 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ძირითადი დებულებების პროექტი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სეიმმა არმიის გენერალი ვ. იარუზელსკი ერთხმად დანიშნა ქვეყნის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარედ.

სეიმში დაკმაყოფილა ვ. იარუზელსკის თხოვნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ და გულითადი მადლობა გადაუხადა ამ პოსტზე მრავალი წლის მუშაობისათვის.

სესიამ მ. გორიეოდა დანიშნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა სხვის თავმჯდომარის მოადგილედ და მინისტრთა საბჭოსთან არსებული დაგეგმვის კომისიის თავმჯდომარედ. ზ. მესნერი — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, ჯავშნის გენერალი ფ. სივიცკი — პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრად.

● ლიბანი

პატრიოტთა დარტყმები

ბეირუთი. **უსახტიკესი ტერორი და ძალადობა სუფევს ისრაელი აგრესორების მიერ ოკუპირებულ სამხრეთ ლიბანის მიწაწყალზე, რომელიც მთელი ქვეყნის ტერიტორიის მესამედზე მეტს შეადგენს.** ჩხრეკა-დაპატიმრების ტალღამ, რომელსაც თან ახლავს უხეში ამბეჩად აგდება, მოიცვა სამხრეთ ლიბანის პრაქტიკულად ყველა დასახლებული პუნქტი.

მაგრამ ამაოა ისრაელ დამპყრობთა მეცადინეობა, იზრდება და ფართოვდება ლიბანელი და პალესტინელი ხალხების შეიარაღებული წინააღმდეგობა. ყოველდღიურად ქვეყნის სამხრეთიდან მოდის ცნობები პატრიოტების წარმატებული მოქმედების შესახებ, რომლებიც თავს ესხმიან ისრაელის სამხედრო პატრულსა და საგუშაგოებს, ტექნიკისა და პირადი შემადგენლობის კოლონებს, მამაცურად უტევენ ინტერვენტთა შტაბებსა და პოზიციებს, უსაფრდებიან და ანადგურებენ ტანკებს, ჯავშანტრანსპორტიორებს, სატვირთო მანქანებს, ხოცავენ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს.

პავლე ინგოროყვა



ქართულმა საბჭოთა მწერლობამ, ჩვენმა ეროვნულმა კულტურამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე პავლე იესეს ძე ინგოროყვა.

მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე პავლე ინგოროყვა დაუღალავად იდგა ლიტერატურული და საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში და თავისი შემოქმედებითი შრომით თავდადებულად ემსახურებოდა ჩვენი მხატვრული კულტურის, ქართული საბჭოთა მწერლობისა და მეცნიერების განვითარებასა და აყვავებას.

განუზომელია ის ღვაწლი, რომელიც პავლე ინგოროყვამ დასდო ქართული საბჭოთა მწერლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს. იგი საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი და მისი მესვეური იყო და შვიდ ათეულ წელზე მეტ ხანს ერთგულად, დაუღალავად იღვწოდა მშობლიური კულტურის ზრდისა და განვითარებისათვის.

ფართო და მრავალმხრივმა ერუდიციამ, მეცნიერულმა ალღომ, დახვეწილმა გემოვნებამ პავლე ინგოროყვას დიდი ავტორიტეტი, საყოველთაო სიყვარული და პოპულარობა მოუტანა.

პავლე ინგოროყვა დაიბადა 1893 წლის 1 ნოემბერს ფოთში. პირველდაწყებითი განათლება აქვე მიიღო და სახწავლებლად გაემგზავრა ვლადიკავკაზში, სადაც ექსტერნად დაამთავრა გიმნაზია. 1912-1915 წლებში პავლე ინგოროყვა სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, შემდეგ დაბრუნდა საქართველოში და შეუდგა ნაყოფიერ შემოქმედებით და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

იგი იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის უცვლელი წევრი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე. პავლე ინგოროყვა იყო ერთ-ერთი დამაარსებელი და მთავარი რედაქტორი მწერალთა კავშირის სალიტერატურო ორგანოებისა („კავკასიონი“ და „ახალი კავკასიონი“). მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა გამომცემლობა „ქართული წიგნი“. 1925-1930 წლებში იგი გამომცემლობის მთავარი რედაქტორი, ხოლო 1928-1930 წლებში გამგეობის თავმჯდომარე იყო.

პავლე ინგოროყვას ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ხელნაწერთა განყოფილება, რომელიც ქართველი კლასიკური მწერლობის შესწავლის ცენტრს წარმოადგენდა და რომლის ბაზაზეც შემდეგ შეიქმნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

1934-1936 წლებში პავლე ინგოროყვა მუშაობდა ენის, ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკად, 1936-1938 წლებში კი „დიდი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ რედაქციის განყოფილების გამგედ, იყო შოთა რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის სწავლული კონსულტანტი, ხელოვნების საქმეთა კომიტეტის კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების სწავლული კონსულტანტი, უურნალ „მნათობის“ კრიტიკის განყოფილების გამგე და ყოველივე ამაყად ატარებდა ქართველი საბჭოთა მწერლის სახელს.

ლიტერატურული მოღვაწეობა პავლე ინგოროყვამ ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე დაიწყო. სრულიად ახალგაზრდამ, ოცი წლის ჭაბუკმა 1913 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტური გამოკვლევა ძველი ქართული სასულიერო პოეზიის შესახებ, რომელიც დღემდე ინარჩუნებს თავის მეცნიერულ ღირებულებას. მას შემდეგ პავლე ინგოროყვა შვიდი ათეული წლის მანძილზე დაუცხრომლად იღვწოდა ქართული კულტურის სარბილზე და ემსახურებოდა მშობელ ქვეყანას, მშობელ ხალხს.

პავლე ინგოროყვას შრომები „გალობანი ვარძიისანი (თამარ მეფის სამადლობელი საგალობელნი), ოხზულება იოანე შავთელისა, 1206 წლისა“, „თამარ მეფის იამბიკონი“, „ჩახრუხაიძე, პოეტი — მოგზაური“ და მრავალი სხვა, რომლებშიც განხილულია ქართული ლექსთწყობისა და მეტრიკის საკითხები, ფართო აღიარებით სარგებლობს და ერთ-ერთ ფუძემდებელ ნაშრომებად ითვლება ქართულ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში.

პავლე ინგოროყვას კალამს ეკუთვნის „კაპიტალური ნაშრომი „გიორგი მერჩულე“, რომელშიც გაშუქებულია, მრავალი საკამათო საკითხი ქართული მწერლობისა, გაანალიზებულია V-XI საუკუნეების ძველი ქართული პოეზია, ეს ნაშრომი, საყოველთაო აღიარებით, ძველი ქართული პოეზიისა და ქართული პოეტიკის ენციკლოპედიას წარმოადგენს.

პავლე ინგოროყვა იმ მეცნიერთ განეკუთვნებოდა, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს რუსთველოლოგიას. მისი შრომები „რუსთაველი და მისი პოემა“, „რუსთველიანნი“ რუსთველოლოგიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

პავლე ინგოროყვა უაღრესად ხელსაყვანი და ნაყოფიერი მკვლევარი იყო. „ეფრემ მცირე“ და „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი V-VIII საუკუნეთა ძეგლებში“, რომელსაც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა უწოდა „გზის გამკვლევი ნაშრომი ქართულ მეტყველებაში“, „ლეონტი მროველი“ და „სვანეთის საისტორიო ძეგლები“, „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“ და „დავით სასუნელი — სომხური ხალხური ეპოსი“ ის იმ ნაშრომთა სია, რომლებმაც სრულიად სამართლიანად დაიმკვიდრეს ადგილი ქართული მეცნიერული აზროვნების ოქროს ფონდში.

პავლე ინგოროყვას დიდი დამსახურება მიუძღოდა XIX საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის შესწავლასა და პოპულარიზაციაში. მისი ბიოგრაფიული ნარკვევები და ტექსტოლოგიური ძიებანი ნიკოლოზ ბარათაშვილზე, აკაკი წერეთელზე, გრიგოლ ორბელიანზე, ვახტანგ ორბელიანზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე.

ამ მონოგრაფიებში პავლე ინგოროყვა მარმა მკვლევარი როდია, იგი სიტყვის ხამდგილი ოსტატია, პოეტური სიტყვისა, როგორც მას პაოლო იაშვილმა უწოდა: „პოეტი ადრე...“

დიდია „რუსთველიანას“, „შოთა რუსთველის“, „რუსთველიანის ეპილოგის“, „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული გამომცემლის ღვაწლი რუსთველოლოგიის მეცნიერებაშიც; მკვლევარი ს ა, რომელსაც უეცლობლად, შეურყეველად სწამდა, რომ ამ უკვდავი პოემის ფაბულას მხოლოდ და მხოლოდ ქართული სინამდვილის მაგარი ფესვები ჰკვებავს.

მეცნიერები ზოგჯერ ამასაც აღნიშნავდნენ, რომ პავლე ინგოროყვა ხშირად ზედმეტ სითამამეს იჩენდა თავის თეორიებსა და მოსაზრებებში. მაგრამ დიდ მეცნიერებას ხომ ესეც სჭირდება საბოლოო და ჭეშმარიტი დასკვნებისათვის.

სამწერლო საქმეებში ყოველთვის ღრმად ჩახედულს, პავლე ინგოროყვას წლების მანძილზე თავისი წვლილი შეჰქონდა საბჭოთა ლიტერატურის პრაქტიკულ ორგანიზაციაშიც და არაერთ ჩვენებანს, მასთან ერთად მუშაობით, გამოსდგომია მისი გამოცდილება.

სამწუხაროა, რომ პატარა საგაზეთო წერილი ყველაფერს ვერ იტევს...

ირაკლი აბაშიძე.

ე. ა. შევარდნაძე, გ. დ. გაბუნია, გ. ნ. ენუქიძე, ო. ე. ჩერძეზია, ა. პ. საყვარელიძე, ნ. შ. ჯანბერიძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, ე. კ. ხარაძე, ნ. ვ. დუმბაძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ვ. მ. ოკუჯავა, შ. ვ. ძიძიგური, ა. გ. ბარამიძე, დ. ა. ალექსიძე, ე. დ. ამაფუკელი, გ. შ. ორჯონიკიძე, ე. ნ. შენგელაია, გ. შ. ციციშვილი, ჯ. ა. ჩარკვიანი, შ. გ. ნიშნიანიძე, რ. ს. მიმინოშვილი, თ. ი. ჭილაძე, ვ. ვ. ჭელიძე, გ. კ. ნატრიშვილი, ს. ე. ჭილაია, გ. დ. ჯაფარიძე, ო. ი. ეჯიბაძე, ვ. რ. ასათიანი, გ. ა. ლორთქიფანიძე.

ნამდვილი უშიშროების ინტერესების საწინააღმდეგოდ

ბონი. **უხეშად უგულებელყო რა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოსახლეობის უმრავლესობის ნება, მისი ნამდვილი უშიშროების ინტერესები, მმართველი კოალიციის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის და თავისუფალ დემოკრატთა პარტიებმა ბუნდესტაგს მიაღებინეს რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს დასავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე პირველი დარტყმის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგებას.** ამ გადაწყვეტილების მიღებას, რომელსაც შეიძლება საშიში შედეგები მოჰყვეს როგორც თვით ფედერაციული გერმანიისთვის, ისე მთელ მსოფლიოში არსებული ვითარებისათვის, წინ უძღოდა ცხარე ორდღიანი კამათი, რომლის მსვლელობაშიც ოპოზიციური პარტიების — სოციალ-დემოკრატიული და „მწვანეთა“ პარტიების წარმომადგენლებმა გადაჭრით უარყვეს შეერთებული შტატებისა და ნატოს ბირთვულ პოლიგონად დასავლეთ გერმანიის გადაქცევის გეგმები.

კამათში გამოსვლისას თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ვ. ბრანდტმა, გ. ფოგელმა, ე. ბარმა და სხვებმა გააფრთხილეს კოლი-გენშერის მთავრობა, რომ „პერშინგ-2“ და ფრთოსანი რაკეტების განლაგებას სერიოზული ნეგატიური შედეგები მოჰყვება.

ნიშანდობლივია, რომ კამათის დროს მმართველი კოალიციის პარტიების წარმომადგენელ დეპუტატთა შორისაც გამოსმოდა მოწოდება არ დაშვათ ქვეყნის ტერიტორიაზე ახალი ამერიკული რაკეტულ-ბირთვული იარაღის განლაგება.

როგორც დპა სააგენტო იუწყებოდა, ამერიკული ბირთვული „პერშინგ-2“-ის პირველ ნაწილებს დასავლეთ გერმანიაში ჩაიტანენ 23 ნოემბერს. მაგრამ „მწვანეთა“ ფრაქციის წარმომადგენელმა ოტო შილიმ განაცხადა, რომ ორდღიანი კამათი მთავრობამ ფაქტობრივად ფარსად აქცია, ვინაიდან მის დამთავრებამდე რამდენიმე საათით ადრე რამშტეინის ამერიკულ სამხედრო-საჰაერო ბაზაში დაეშვნენ ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების პირველი სატრანსპორტო თვითმფრინავები, რომლებმაც ჩაიტანეს „პერშინგ-2“-ის შემადგენელი ნაწილები.

საპარლამენტო კამათის დროს ბუნდესტაგის შენობასთან გაიმართა ომის საწინააღმდეგო გამოსვლები. მანიფესტაციათა მონაწილენი ერთხმად გაიძახოდნენ: „არ გვინდა ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტები!“, „მოვითხოვთ მშვიდობას და განიარაღებას!“.

ბონდესტაგში ხმა მისცეს მილიტარისტულ რეზოლუციას

თავიდან აიცილოთ ბირთვული ომის საფრთხე

23 ნოემბერს თბილისში გრძელდებოდა მშვიდობის დაცვისათვის, ბირთვული ომის წინააღმდეგ მებრძოლი საბჭოთა მეცნიერების კომიტეტის სხდომა. ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის ხელმძღვანელობასთან სხდომის ფარგლებში გამართული შეხვედრის დროს გაგრძელდა დისკუსია იმ პრობლემებზე, რომ გაყინონ ბირთვული იარაღი, არ განლაგონ იგი კოსმოსში.

განიხილეს რა სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაზე კოსმოსური რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შექმნის ზემოქმედების შესაძლებლობა, მეცნიერებმა აღნიშნეს, რომ ასეთი სისტემების შექმნა, კოსმოსის მილიტარიზაცია შესამჩნევად ზრდის პირველი, დამსწრეთა დარტყმის საშიშროებას, კრიზისულ ვითარებაში მცდარი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას. უდიდესი სახსრები, რომლებიც დასჭირდება იარაღის შექმნასა და ამ დარგში მეცნიერულ-ტექნიკურ ნამუშევრებს, უნდა მოხმარდეს მშვიდობიანი დანიშნულების დიდი მასშტაბის საერთაშორისო და ეროვნულ პროგრამებს, მათ ხელი უნდა შეუწყონ მწვავე გლობალური პრობლემების — ეკონომიკური, სანედლეულო, ეკოლოგიური და სხვა პრობლემების გადაჭრას. შეხვედრის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს კოსმოსური რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების შექმნის უსაფრთხეს აკრძალვას სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების უთანაბრო მონაწილეობიანი და თანასწორუფლებიანი შეთანხმებების მეშვეობით.

ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის თავმჯდომარემ ფრენკ ფონ ჰიპელმა საქინფორმის კორესპონდენტს უთხრა:

— ჩვენს შეხვედრას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყნების მეცნიერებს შეუძლიათ ერთანხმდნენ თანამედროვეობის უმწვავეს საკითხებზე. დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ჩვენი მთავრობები მეცნიერთაგან ერთნაირ და ობიექტურ ინფორმაციას მიიღებენ.

— სავსებით ვეთანხმები პროფესორს, — თქვა საბჭოთა მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ე. პ. ველიხოვი. —დღეს ჩვენ დიდმნიშვნელოვან გზაჯვარედინზე ვდგავართ: ან განვაგრძოთ გამაჯალებული შეიარაღება ნებისმიერი ლოზუნგით — თავდაცვისა თუ უმეტესი უშიშროების ლოზუნგით, ან შევთანხმდეთ შეზღუდვასა და ბირთვულ განიარაღებაზე. საღი აზრი. გვიკარნახებს, რომ მეორე გზა ერთადერთი მისაღები გზაა. შეხვედრამ ცხადყო, რომ პრაქტიკულად ყველა საკითხში — ტექნიკურშიც და პოლიტიკურშიც — ვეთანხმებით ერთმანეთს.

გაიმართა საბჭოთა მეცნიერების კომიტეტის წევრებისა და საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებრიობის შეხვედრა. აკადემიკოსი ე. პ. ველიხოვი დამსწრეთ ესაუბრა საბჭოთა მეცნიერების ამ ახალგაზრდა ორგანიზაციის — მიმდინარე წლის მაისში შექმნილი ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებზე, მის მუშაობაზე.

ამერიკელ მეცნიერთა ფედერაციის დირექტორმა ჯერემი ჯუდა სტოუუნმა დამსწრეთ გააცნო ფედერაციის საქმიანობა, რომელშიც აქტიურად თანამშრომლობენ ხუთი ნობელის პრემიის ლაურეატი და თითქმის ხუთი ათასი მეცნიერი. მან ხაზი გაუსვა, რომ მარტო მეცნიერები ვერ შეასრულებენ მნიშვნელოვან როლს თანამედროვეობის უმწვავესი და უაქტუალურესი ამოცანების გადაწყვეტაში. საჭიროა გვყავდეს ბრძენი და შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელები, რომლებიც ყურად იღებენ მეცნიერთა აზრს, გაითვალისწინებენ მას პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შემუშავებისას.

საბჭოთა მეცნიერების კომიტეტის წევრმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტის დირექტორმა ა. ა. გრომიკომ საქინფორმის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში, კერძოდ, თქვა:

— თბილისში ჩვენ განვიხილავთ მშვიდობის შენარჩუნების აუცილებლობასთან და ბირთვული ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებულ ბევრ დიდმნიშვნელოვან პრობლემას. ისტორიულ დოკუმენტებში, რომლებსაც იღებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ამხანაგ ა. ვ. ანდროპოვის განცხადებაში საღად არის შეფასებული საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის მდგომარეობა და ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის აგრესიული კურსი, რომელიც ქმნის ბირთვული ომის საშიშროებას. მინდა მოგახსენოთ, რომ წარმოდგენა, თითქოს ბირთვული ომი, თუ იგი ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ატყდა, იქნება მხოლოდ ჩრდილოეთ ნახევარსფეროს ომი მთელი თავისი შედეგებით, გულუბრყვილო და მცდარი წარმოდგენაა. დაგროვდა ბევრი მეცნიერული მონაცემი, რომლებიც მოწმობს, რომ ბირთვული ომის შემთხვევაში სამხრეთ ნახევარსფეროს მოსახლეობა არანაკლებ დაზარალდება. ეს ეხება რადიაციის დონის მკვეთრ ამაღლებასაც, ეკოლოგიური ბალანსის დარღვევასაც, მრავალ სხვა პარამეტრსაც.

ამერიკის იმპერიალიზმი ვარაუდობს სამხრეთ ნახევარსფეროს ქვეყნების ტერიტორიაზე შექმნას სამხედრო ბაზები და განალაგოს იქ ბირთვული იარაღი. გარდა ამისა, ზღვებს, რომლებიც გარს არტყია მრავალ განვითარებადს ქვეყანას, მაგალითად, ინდოეთის ოკეანეს, არსებითად სულ უფრო ფართოდ იყენებენ ამერიკის სამხედრო-საზღვაო ძალები საბჭოთა კავშირისადმი მუქარისათვის. მაშასადამე, არსებითად მრავალი სუვერენული განვითარებადი სახელმწიფოს ტერიტორიას ამერიკის იმპერიალიზმი სამხედრო პლაცდარმად მიიჩნევს.

ბირთვული ომი შეიძლება თავიდან აციცილოთ. საბჭოთა მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ამ მიზნის მიღწევა შესაძლებელია. „მაგრამ ამ საფრთხის თავიდან აცილება შეიძლება მხოლოდ აგრესიული ძალების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის, განუწყვეტელი და აქტიური ბრძოლის შედეგად.

დამაშვრალი და ვაჟლმოხდილი

ოთხმოცდაათი წელი გაასრულა და, თითქმის მისივე დაბადების დღეს მიიცვალა. ათეული წლების მანძილზე უკურნებელი სენი დასდევდა თან, რომელსაც შეეძლო ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობაშივე ემსხვერპლა. მან კი ბუნებას თითქოს ძალით გამოსტაცა ცხრა ათეული წელი, რათა აქედან შვიდი ათეული შმობლიური კულტურის სამსახურისთვის შეეწირა.

საუკუნის კაცი, პავლე ინგოროყვა, ქართული ეპოქის მოამაგეთა ძველის ძველი თაობის ის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო, რომელიც აგერ ჩვენს თვალწინ ავლენდა და ატარებდა ამ თაობის საქმიანი, ხშირად უსიტყვო, უხმაურო პატრიოტიზმის, სამშობლოსადმი უანგარო სამსახურის, დაუცხრომელი შრომისმოყვარეობის საუკეთესო თვისებებს, ჭეშმარიტ ქართველ მოღვაწეთა ეს შთამომავლობითი, სწორედ რომ ეროვნული თვისებები, სანთლად უნდა ენთოს დღეს. და ხვალაც ყველა ქართველ კაცს. ჩვენს ახალგაზრდა თაობებს. მხოლოდ ასეთ კაცობას მოაქვს სახელი და დიდება, მხოლოდ ასეთ კაცობას მოაქვს საბოლოოდ სულის სიმშვიდე, რაგინდ მცირეც უნდა იყოს სამშობლოსადმი ეს სამსახური. სხვა სახელი და ბედნიერება მხოლოდ ხანმოკლეა და მოჩვენებითია.

ბევრი რამ იყო საკვირველი ამ კაცში, და მათ შორის, პირველ ყოვლისა ისიც, რომ მისი მეცნიერული და ლიტერატურული ახალგაზრდობის, მისი შეგირდობის, „განსწავლის“ პერიოდი თითქმის არავის შეუმჩნევია — იგი მოვიდა პირდაპირ და „განსწავლულ“ კაცთა შორის ჩადგა. პავლე ინგოროყვას პირველი ნაშრომები ახალგაზრდა კაცის პირველი გაანაცხადებები კი არ იყო, არამედ ერთბაშად „გზის გამკვლევი ნაშრომი ქართულ მეტყველებაში“. ეს კი მართლაც რომ იშვიათი ნიჭით დაჯილდოებულთა ხვედრია.

ოციოდე წლის ჭაბუკმა არამც თუ მიიქცია გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა ყურადღება, არამედ მათი მაღალი შეფასებაც დაიმსახურა.

პავლე ინგოროყვა თითქოს ეპოქამ გამოიძახა სამოღვაწეო ასპარეზზე. ეს იყო დრო, როცა ივანე ჯავახიშვილის, ამ ჩვენი დიდი ქართველი მომზენის მეთაურობით ქართულ ისტორიოგრაფიაში დგებოდა ახალი ერა, და როცა თვით ქართული ისტორიოგრაფია ჭეშმარიტ მეცნიერულ ნიადაგზე დგებოდა. თქმა არ უნდა, ამან განაპირობა ახალგაზრდა მკვლევარის მთელი მომავალიც.

პავლე ინგოროყვას მეცნიერულმა გამოკვლევებმა ჩვენი მორეული წარსულის, ჩვენი ანტიკური ხანის ისტორიიდან, იმთავითვე პოეტს საყოველთაო აღიარება და ყოველთვის იქნებიან ჩვენი მეცნიერების ოქროს ფონდში, განსაკუთრებით კი მისი „ძველი ქართული წარმართული კალენდარი V-VIII საუკუნეთა ძეგლებში“. და მე, როგორც ქართველი მწერალი, დღეს, ამ გამოთხოვების ჟამს, ჩემს განსაკუთრებულ მადლობას ვეუბნები მას იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც ქართული მწერლობის კვლევის საშვილიშვილო საქმეს დასდო. მის კალამს მთელი ბიბლიოთეკა ეკუთვნის, მოყოლებული „ქართული ლიტერატურის მოკლე მიმოხილვით“, ფარნავაზ პირველით მოყოლებული (კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში შექმნა „მწიგნობრობა ქართული“); ვიდრე მისი მონოგრაფიებით ნიკოლოზ ბარათაშვილზე, გრიგოლ ორბელიანზე, ვახტანგ ორბელიანზე, ილია ჭავჭავაძეზე, აკაკი წერეთელზე.

ამ მონოგრაფიებში პავლე ინგოროყვა მარმა მკვლევარი როდია, იგი სიტყვის ხამდგილი ოსტატია, პოეტური სიტყვისა, როგორც მას პაოლო იაშვილმა უწოდა: „პოეტი ადრე...“

დიდია „რუსთველიანას“, „შოთა რუსთველის“, „რუსთველიანის ეპილოგის“, „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული გამომცემლის ღვაწლი რუსთველოლოგიის მეცნიერებაშიც; მკვლევარი ს ა, რომელსაც უეცლობლად, შეურყეველად სწამდა, რომ ამ უკვდავი პოემის ფაბულას მხოლოდ და მხოლოდ ქართული სინამდვილის მაგარი ფესვები ჰკვებავს.

მეცნიერები ზოგჯერ ამასაც აღნიშნავდნენ, რომ პავლე ინგოროყვა ხშირად ზედმეტ სითამამეს იჩენდა თავის თეორიებსა და მოსაზრებებში. მაგრამ დიდ მეცნიერებას ხომ ესეც სჭირდება საბოლოო და ჭეშმარიტი დასკვნებისათვის.

სამწერლო საქმეებში ყოველთვის ღრმად ჩახედულს, პავლე ინგოროყვას წლების მანძილზე თავისი წვლილი შეჰქონდა საბჭოთა ლიტერატურის პრაქტიკულ ორგანიზაციაშიც და არაერთ ჩვენებანს, მასთან ერთად მუშაობით, გამოსდგომია მისი გამოცდილება.

სამწუხაროა, რომ პატარა საგაზეთო წერილი ყველაფერს ვერ იტევს...

ნობათი მოსკოველებს



მოსკოვის კუნცევოს რაიონის მშრომელებს დიდი მონუმენტური პანო გადასცა საჩუქრად საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარმა, ლენინური და სახელმწიფო პრემიების ლაურეატმა ზურაბ წერეთელმა.

ფართო და ვრცელ დარბაზში ცისარტყელას ფერებად ელავს მეტად შთამბეჭდავი მონუმენტური კომპოზიცია. ჩვენ წინ გადაშლილია მოსკოვის კრემლის მასშტაბური სახე, ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს დიდი სიმაღლიდან დავცქეროდეთ მოსკოვის გულს. აი კრემლის კედლების დაუვიწყარი სილუეტები, მაცხოვრის ტაძრის ქონგურების მოხდენილი ვერტიკალი და დიდი კრემლის სასახლე.

გვესაუბრება პარტიის მოსკოვის კუნცევოს რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი **ი. გოლოვკოვი:**

— ქართველი მხატვრის ეს ნობათი, რომელიც მან ჩვენს ქალაქს უსახსოვრა, დიდი ემოციურობითა და მონუმენტურობით გამოირჩევა. იგი ახლახან გამართული დღესასწაულის — რუსი და ქართველი ხალხების ორსაუკუნოვანი ურღვევი მეგობრობის კიდევ ერთი გამოხატულებაა. მხატვარი გრძნობს მოსკოვის ცხოვრების მაჯისცემას, მის რიტმს და სიდიადეს. ეს ბუნებრივიცაა — მოსკოვი ხომ ყველა საბჭოთა ადამიანის საყვარელი ქალაქია...

ვსარგებლობ შემთხვევით და „კომუნისტის“ მკითხველებს აქვე მოვუთხრობ კუნცევოს რაიონის მშრომელთა მიღწევებზე: მოსკოვის რაიონებს შორის გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ (მიმდინარე წლის მესამე კვარტალის შედეგების მიხედვით) პირველობა სწორედ ამ რაიონს არგუნა, ათვისებულია 40000 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, გაშენდა რამდენიმე უნიკალური ობიექტი, მათ შორის ავტომანქანების სარეცხი კომპლექსი, რომელიც უდიდესია ევროპაში. იგი ერთდროულად 300 მსუბუქ ავტომობილს მომსახურება.

ახალ ნაგებობათა შორის ქართული ეროვნული კოლორიტითა და სისადავით გამოირჩევა კაფე, რომელსაც „მცხეთა“ დავარქვით. ჩვენი სურვილია კუნცევოს რაიონის მშრომელებმა შესვენების საათებში ამ კაფეში ქართული სითბო და სტუმართმოყვარეობა იგრძნონ. — ყოველთვის ვგრძნობთ უურადღებას და დახმარებას მოსკოვში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მუდმივი წარმომადგენლების თანამშრომლებისაგან, რომლებთანაც დიდი ხნის მეგობრობა გვაკავშირებს.

აი რა გვითხრა მუშამ **ა. რიბაზანცევმა:** ლითონი.... როგორი პლასტიკური შეიძლება გახდეს იგი ნამდვილი ოსტატის ხელში. თითქოს მზის ბრწყინვალება ახვევია მოსკოვის კრემლის ქონგურებს მხატვრის ამ ახალ პანოზე. დღეს ზურაბ წერეთლის შემოქმედებას კარგად იცნობენ მოსკოველები და ჩვენი დედაქალაქის სტუმრებიც. სულ ახლახან ხომ ტაშისკის მოედანიც მისმა მონუმენტურმა ნამუშევარმა „საუკუნო მეგობრობამ“ დაამშვენა.

პარტიის კუნცევოს რაიონული კომიტეტის დარბაზში ახალი პანოს გახსნაზე მოვიდნენ ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ომისა და შრომის ვეტერანები, წარმოების მოწინავე მუშები.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: ზურაბ წერეთლის ახალი პანო.

ა. სვერდლოვის ფოტო.

ამხანაგების ხსოვნას

1983 წლის 18 ნოემბერს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს თბილისის ავიათანაწარმოს ტუ-134-ა თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები ანზორ იოსების ძე ჭედია, ვალენტინა ნიკოლოზის ასული კრუტიკოვა, ზავენ ტელემაქის ძე შარბათიანი.

კომუნისტი ანზორ იოსების ძე ჭედია ტუ-134-ა თვითმფრინავის ბორტმექანიკოსი დაახლოებით ოცი წელია კეთილსინდისიერად შრომობდა აეროფლოტის სისტემაში — მიწაზე და ჰაერში, მან საფუძვლიანად შეისწავლა საავიაციო ტექნიკა, წარმოებას მოუწყვეტლივ დაამთავრა კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტი, ნიადაგ სრულყოფდა თავის ოსტატობას, რითაც ავტორიტეტი და პატივისცემა დაიმსახურა თანამოსაქმე ამხანაგებში.

კომკავშირელი ვალენტინა ნიკოლოზის ასული კრუტიკოვა, ტუ-134-ა თვითმფრინავის ბორტგამყოლი, აეროფლოტში მოვიდა მეედდად მუშაობის გამოცდილებით, შეძენილი ჰქონდა ადამიანებისათვის ზრუნვის ჩვევები, უნარი დახმარებოდა მათ ძნელ წუთებში. მის ანგარიშზე იყო ოთხი ათასი ფრენის საათი, რომელთაგან ყოველი მგზავრთა მომსახურებაში უურადღებისა და გულისხმიერების, თავის საქმის ჩინებული ცოდნის მაგალითი შეიძლება იყოს, რითაც თბილისის ავიატორთა კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

კომუნისტმა ზავენ ტელემაქის ძე შარბათიანმა, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მფრინავ-შტურმანთა განყოფილების უფროსის მოადგილემ, ოცდაათ წელზე მეტი მოახმარა ფრენის საქმეს, რომელთაგან ოც წელზე მეტ ხანს თავდადებით შრომობდა რესპუბლიკის ავიაციაში. მან გაიარა სახელოვანი გზა რიგითი პილოტიდან განყოფილების უფროსის მოადგილემდე, აითვისა თითქმის ყველა ტიპის საჰაერო ხომალდი, რომლებსაც რესპუბლიკაში უწევდნენ ექსპლოატაციას. პირველი კლასის პილოტი, გამოცდილი დამრიგებელი მთელ თავის ძალასა და ცოდნას აბმარდა მფრინავთა კადრების აღზრდის საქმეს, მეთოდიკური მუშაობის სრულყოფასა და ფრენის უშიშროების უზრუნველყოფას. მრავალი წლის უმწაკლო შრომისათვის მას მიანიჭეს „საქართველოს სსრ ტრანსპორტის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება, სახელმწიფო ჯილდოები.

ა. ი. ჭედიას, ვ. ნ. კრუტიკოვას, ზ. ტ. შარბათიანის — მამაცი ავიატორების, საბჭოთა სამშობლოს ჭეშმარიტი პატრიოტების ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს კოლექტივი და ავიამუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპნენ თბილისის ავიათანაწარმოს ტუ-134-ა თვითმფრინავის ეკიპაჟის წევრები

ანზორ იოსების ძე ჭედია,
ვალენტინა ნიკოლოზის ასული კრუტიკოვა,
ზავენ ტელემაქის ძე შარბათიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულთა ოჯახებს.

ფიგნის თარო

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ ახლახან რუსულ ენაზე გამოუშვა პროფესორ იოსებ მეგრელიძის მონოგრაფია „იოსებ ორბელი“. იგი ეძღვნება გამოჩენილ სომეხ მეცნიერს, საქართველოს დიდ მეგობარს, მრავალმხრივ მოღვაწეს, ქართველოლოგიის, კავკასიოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა და ანტიკური სამყაროს მკვლევარს.

ავტორი — ი. მეგრელიძე ბევრ საარქივო მასალაზე, უშუალო შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით (იგი პირადად იცნობდა დიდ მეცნიერს) საინტერესოდ მოგვითხრობს პიროვნებაზე, რომელმაც წარუშლელი კვალი დაჩნია სამეცნიერო ცხოვრების ამ ტალანებს.

მონოგრაფიის რედაქტორია აკადემიკოსი შ. ძიძიგური.

კასპი და კასპელები

გზადაგზა, ერთი თვალის გადავლებით

ქალაქ კასპის მთავარ მოედანზე გიორგი საკაძის ძეგლია აღმართული. აქედან ერთბაშად რამდენიმე ქუჩა გადის, ერთი მათგანი ცემენტ-შიფერის კომბინატისაკენ მიემართება. ამ საწარმოს ცად აწვდილი მილებიდან ამოსული კვამლი და ცემენტის მტვერი ქალაქისა და ახლომახლო სოფლების თავზე ნაცრისფერ ღრუბლად ჰკიდია. მაგრამ ამაზე უფრო დეტალებში სხვა დროს მოგვიწევს საუბარი, ამჯერად კონკრეტულ საკითხზე შევჩერდეთ.

იგოეთთან მთავარი გზიდან გადავუხვევთ თუ არა, შავიღიღე კილომეტრს გავივლით და კასპშიც შევდივართ, ეს ლენინის ქუჩაა, პირველ შთაბეჭდილებასაც მნახველს სწორედ ეს ქუჩა უქმნის. ადგილობრივ ხელისუფალთ უზრუნიათ, რომ ქალაქში შემოსასვლელი კოხტა და სადა ყოფილიყო. რიყის ქვითა და აგურით გაწყობილი დეკორატიული კედელი ასობით მეტრზე გრძელდება და მოსახლეთა ეზო-გარემოს შნოსა და ლაზათს მატებს.

მაგრამ მოსახლეც არის და მოსახლეც, ვისთვის პეწი და სისუფთავე მოთხოვნილებაა, ვისთვის... თუმცა, აგერ, გურამიშვილის აღმართი იწყება, ხასიათს ეუბდენს კაცს ამ ქუჩის მცხოვრებთა „ალერგია“ სისუფთავისა და წესრიგისადმი.

ქუჩის ორივე მხარეს საკუთარი სახლებია ჩარიგებული და მისი მფლობელები კერძომესაკუთრული ინტერესებით უდგებიან სახლგაყიდრიგი თანაცხოვრების წესებს, რომლებიც ქალაქში საერთო წესრიგის, სისუფთავისა და კეთილმოწყობის დამკვიდრებას გულისხმობს. ნაგავი აქ ზოგან ეზოს წინ, ტროტუარზე, ზოგან შუა ქუჩაში ყრია. სახლის რემონტი ან მშენება გადაწყვიტეთ? ინებეთ, მანქანებით მოდის ისეთი დეფიციტური მასალები, სამშენებლო ორგანიზაციებს ფონდით რომ ეკუთვნით და ხანდახან მაინც თვეობით რომ ელოდებიან. მანქანებს შუა ქუჩაში ცლიან და სულ მალე ყოველივე ამას სამშენებლო ნაგავი და სხვა ნარჩენები ემატება. კაცი იფიქრებს, უბნის ინსპექტორს ამ ქუჩაზე საერთოდ არ გამოუვლიაო. ვინ იცის, შეიძლება ისეც იყოს. სახლის ქუჩის მცხოვრებლებს ეზოებში მშვენიერი ხეივნები მოუწყვიათ, ეზოს გარეთ კი ერთი ნერგიც არ უხარიბიათ, ერთადერთი, რაც გარეთ გამოაქვთ, ნაგავია, რომელშიც ღორები იქექებიან და ქარს გააქვს და გამოაქვს სიბინძურე და ჟუჟული.

ქალაქის სანეპიდსადგური (მთავარი ექიმი გ. დიდებულიძე) ვიდრე აქ ამოღწევდეს, ურიგო არ იქნებოდა, პირველი მაისის ქუჩაზე თავისივე შენობის მიმდებარე ტერიტორიისათვის მიეხედა, რომელიც ისეთ ანტისანიტარიულ მდგომარეობაშია, გაოცდები და გაკვირდები.

კასპში მრავალსართულიანი სახლების, მიწისქვეშა კომუნიკაციების, მოკლედ, დიდი ქალაქისათვის დამახასიათებელი საქალაქო მეურნეობის განვითარება მხოლოდ ახლა იწყება და სამშენებლო თუ სარემონტო, წყალსადენისა თუ კანალიზაციის შეთანხმებული მუშაობის მოგვარება ამთავითვე მართებთ, მაგრამ არა ისე, როგორც ეს ვოროშილოვის ქუჩაზე მოხდა. კეთილმოწყობის სამსახურმა ჯერ გაზონები გააშენა, მაგრამ შემდეგ მიხვდნენ, რომ „იმ ადგილას“ არ უნდა გაეშენებინათ, და ახლა ეს ყვავილნარი მოშალეს. აქ სარემონტო კანტორამ ასფალტი დაადგა. მერე გაირკვა, რომ დაინტერესებულ ორგანიზაციას „კავშირგაბმულობის ბის კაბელის ჩადება დავიწყებია და ქუჩა ისევ გადათხარეს — კაბელს დებენ. მაგრამ ამ ქუჩის კეთილმოწყობა ამით არ დამთავრდება, მეკავშირეები საქმეს მორჩებიან და წავლენ თუ არა, რიგში სხვა ორგანიზაციები დგანან. — ცემენტ-შიფერის კომბინატი და საკონსერვო ქარხანა, საქმე ის გახლავთ, რომ აგერ უკვე წლების მანძილზე კომბინატის ქუჩა მცხოვრებთა და საკონსერვო ქარხნის მიერ ნახმარი გაბინძურებული წყალი ღიად მიწის ზედაპირზე რკინიგზისპირა ზოლის გაყოლებით 300 მეტრზე მოედინება, ვიდრე ქალაქის ცენტრალურ კოლექტორამდე მიაღწევდეს. თავი რომ დავანებოთ ასეთ შეუწყნარებელ ანტისანიტარიას, წყალმა ავარიულ მდგომარეობაში ჩაადო „სოფლქმიის“ რაიონული გაერთიანების საწყობები, რკინიგზის ჩიხი, დატბორა და აშმორა კასპის კოლმეურნეობის მრავალწლოვანი ნარგავები.

ვოროშილოვის ქუჩა, ისევდაც საბრძოლო ტრანშეებშემოვლებულ ფრონტისპირა ქალაქის გარეუბანს რომ მოგაგონებთ, ახლო მომავალში კიდევ უფრო ღრმად გაითხრება. ასეა ყოველთვის, როცა ერთი ალთას არის, და მეორე — ბალთას.

ამ ქუჩაზე, ისევე როგორც ქალაქის ზოგიერთ სხვა ქუჩაზე, ცემენტ-შიფერის კომბინატის მრავალსართულიანი საწყობი სახლები წამოიჭიმა, კომბინატის ხელმძღვანელები (დირექტორის მოადგილე კაპიტალური მშენებლობის დარგში ვ. კოტლიარი) აშკარად ვერ ამბამენ თავს მობინდრეთა კომუნალური მომსახურების საქმეს. აი, ასეთი მაგალითი: ლესელიძის ქუჩაზე ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა მეცემენტეთა საუწყებო ხუთსართულიანი სახლი. პირველად კასპის ბინათმშენებლობის პროექტიაში, სართულებს შორის სანაგვე ბუნკერები დამონტაჟდა, მაგრამ რატომღაც მობინდრეებმა ეს ბუნკერები მოშალეს. მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ ნაგავი შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გაიქცა, ჭუჭყი, ინტასანიტარია გავრცელდა არა მარტო ახალმოსახლეთა ეზოში, შენობაშიც კი.

სხვა მაგალითი: კავთისხევის ხურების საქმეს. აი, ასეთი მაგალითი: ლესელიძის ქუჩაზე ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა მეცემენტეთა საუწყებო ხუთსართულიანი სახლი. პირველად კასპის ბინათმშენებლობის პროექტიაში, სართულებს შორის სანაგვე ბუნკერები დამონტაჟდა, მაგრამ რატომღაც მობინდრეებმა ეს ბუნკერები მოშალეს. მიზეზი? მიზეზი ის გახლავთ, რომ ნაგავი შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ გაიქცა, ჭუჭყი, ინტასანიტარია გავრცელდა არა მარტო ახალმოსახლეთა ეზოში, შენობაშიც კი.

ჩამოსაწერია, იმ ორიდან ერთიც რომ მწყობრიდან გამოვიდეს!..

უკახასკნელ ოცწლეულში კასპი სწრაფად გაშენდა, გაიზარდა მისი საარეწველო-ეკონომიკური პოტენციალი, აშენდა ახალი საწარმოები, გაიკრა ქუჩები, აიგო საცხოვრებელი სახლები, კულტსაგანმახათლებლო დაწესებულებები, მოკლედ, მეცემენტეთა ქალაქმა შესამჩნევად იცვალა სახე. არ შეცვლილა მხოლოდ ერთი — დასუფთავების სამსახურის მტვირთავ მუშათა სამტატო ერთეული. კვლავინდებურად 18 მეეზოვის ზურგზე გადადის ათასობით მობინადრის, წარმოება-ორგანიზაციების კომუნალური მომსახურება, ქუჩებისა და მოედნების, ნიადაგსარინი არხების დასუფთავება.

ქალაქის კანალიზაციის მილგაყვანილობა მოძველებულია და ხშირად ზიანდება. დაზიანებული ქერების აღდგენითი სამუშაოები, ჭის, ორმოების, არხების გათხრა და გაწმენდა პრიმიტიულად, ბარ-ნიჩბებით ხდება. რა გახდა თუნდაც ერთი მოძველებული ექსკავატორი, რომ ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურს გადასცენ?

კასპელ მეცემენტეთა საქმიანობა არ შეიძლება პატივისცემას არ იწვევდეს. ეს მაშვრალი ქალაქია. მეცემენტეთა შრომა მძიმე და რთულია, მაგრამ მეტად საპატიო და პატივსაცემი გახლავთ. რესპუბლიკის გრანდიოზულ აღშენებლობაში მათ თავიანთი ვაჟკაცური წვლილი შეაქვთ. პატივის მიგებასთან ერთად მეცემენტეთა ქალაქს პრაქტიკულადაც უნდა მივეზმაროთ. მეტი გულისყურით უნდა ეკიდებოდნენ მის საზრუნავს, უწინარესად რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობებისა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროები.

რეიდის მონაწილენი: **ი. ზარიძაძე** — ცემენტ-შიფერის კომბინატის ნედლეულის საამქროს ზეინკალთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, **ა. ტალახაძე, თ. მესხი** — რაიონული გაზეთის „განთიადის“ თანამშრომლები, **ნ. ჯანშვერდაშვილი** — დიასახლისი, **ლ. ფერუაშვილი** — სანეპიდსადგურის ეპიდემიოლოგი, **ბ. ბაშაკიძე** — გაზეთ „კომუნისტის“ საკ. კორ.

„ნაცარქექია“ ვენის თეატრში

როგორც ცნობილია, გიორგი ნახუცრიშვილისა და ბორის გამრეკელის „ნაცარქექია“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამი დიდი ქალაქის — ბერლინის, დრეზდენისა და მაგდებურგის თეატრებში დიდი წარმატებით იდგმება 1980 წლიდან (ვახტანგ კუტრავას თარგმანის მიხედვით პიესას სცენური რედაქცია გაუკეთა ჰორსტ პავტმანმა).

ახლახან სასიხარულო ცნობა მოვიდა ავსტრიის დედაქალაქიდან ვენის ერთ-ერთ უძველეს და უდიდეს „ბურგთეატრში“ გიმართა „ნაცარქექიას“ პრემიერა. პიესა დადგა ბერლინიდან სავაგებოდ მიწვეულმა რეჟისორმა ბერნდ რენემ.

ამ მოვლენის შესახებ ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური ორგანო „ფოლქსშტიმმ“ ვრცელი ინფორმაცია გამოაქვეყნა სათაურით „ფანტაზიით და საზრიანობით“. წერილში მოკლედ გადმოცემულია პიესის შინაარსი, ხოლო შემდეგ წერია: „რუდოლფ ვესელი დიდებულად ასრულებს ზღაპრების საზრიანი მთხრობელის როლს“, „სტირიულ-მახვილგონივრულია რუდოლფ ბუკლოციანი ბობოლა ყაფლანის როლში“, „ქართველი ავტორების — ნახუცრიშვილისა და გამრეკელის ეს პიესა რეჟისორმა ბერნდ რენემ დადგა ფანტაზიითა და გონებამახვილურად, რაც თავს იჩენს როგორც სიტყვაში, ისე საქმეში“. („კომუნისტის“ კორ.).

თეატრალური გამოფენა

საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში გამოფენილმა თეატატურმა ექსპოზიციამ „პუშკინი და რუსული და საბჭოთა თეატრის მხატვრები“ (1880-1980 წლები) დედაქალაქის საზოგადოებრიობის დაინტერესება გამოიწვია.

გამოფენამ გაგვაცნო რევოლუციამდელი, რევოლუციის შემდგომი წლებისა და თანამედროვე თეატრის მხატვრების 100-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარი, დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზები ა. პუშკინის სახელობის რუსული ხელოვნების მუზეუმიდან. სახელდობრ, ა. ბენუას, ა. გოლოვინის, ი. ბილიბინის, ნ. გონჩაროვის, კ. იუონის, ვ. შუხაევის, ვ. დმიტრიევის, მ. ლევინის, მ. ბობაშოვის, ვ. ხოლსევიჩის, ფ. ფედოროვსკის, ვ. დორერის, ი. ივანოვის ნამუშევრები.

გ. ცქიტიშვილი.

საბჭოთა ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგების ხსოვნას

ამხანაგებს **ალ. ბ. ბ. ბ